გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N18 (9269) 30 ივნისი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

თანამედროვე სტანდარტები ღანირის საბავშვო ბაღში

5

2

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გაღმა ზონის სოფლებში

3

ისევ ახალი მთავრობა... ახალი პრემიერი

მიზანი: C ჰეპატიტის მასიური სკრინინგის უზრუნველყოფა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე

2

პროექტი მეწარმეებიისა და ფერმერებისათვის

8 “მინდა, ჩემი შვილის და მის თანამებრძოლთა ღვაწლი დაფასდეს”

დროს დაუმორჩილებელი სილამაზე და ნიჭიერება

6

“ქალი და მუსიკა”

7

მზია ჯინჭველაშვილის შემოქმედებითი საღამო

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გალმა ზონის სოფლებში

თეა ბაბუნაშვილი

მაღალმთიან ზონას სამტრედიაში ხშირად უტევს მეწყერი. დამეწყრილი გზები და ინფრასტრუქტურა ახალი არაა საჯავახოს თემისა და არც სოფელ ნიგორზღვისთვის. ცოტა ხნის წინ ამ ბუნებრივმა მოვლენამ სოფელში მისასვლელი გზა გამოიყვანა მწყობრიდან. მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ, მისმა მოადგილე, დავით ბახტაძემ და საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მერაბ უღრელიძემ დაათვალიერეს. ამ პროცესს მერის დავალებით გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენლები და მისი ხელმძღვანელი ელგუჯა კალაძე უწევდნენ ორგანიზებას. როგორც ნიგორზღვაში გამგებლის წარმომადგენელი შავლეგ თარგამაძე აღნიშნავს: "5 კილომეტრზე გაიწმინდება და მოიხრეშება გზის სავალი ნაწილი. მოსახლეობის მოთხოვნაც იყო და ბუნებრივია, ჩვენც ვიცოდით, რომ გზის ეს მონაკვეთი დაუყოვნებლივ შეკეთებას საჭიროებდა."

ნიგორზღვის შემდეგ ზემო ტოლებისკენ აიღეს გეზი მერმა და მისმა თანმხლებმა პირებმა. აქაც პრობლემა სტიქიის მიერ დაზიანებული გზის, ბოგირისა და ხიდის აღდგენა გახლდათ. ტოლებში გამგებლის წარმომადგენელი ალექსი ბოცვაძე აცხადებს, რომ "გზაზე გავლა და ორივე ხიდბოგირზე გადასვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდათ. როგორც ავტომობილებით, ისე ფეხით მოსიარულეთათვის გავლა საფრთხის შემცველი გახლდათ. ჩატარებული სამუშაოების შემდეგ პრობლემა სრულიად აღმოფხვრილია." სამუშაოების დასრულებას, დაახლოებით, 20 დღე დასჭირდა. მუნიციპალიტეტის მერი ხაზს უსვამს, რომ ოფეთში, ტოლებში, ნოღასა და სხვა მაღალმთიან სოფლებში მსგავსი სამუშაოების ჩატარება ინტენსიურად უწევთ, რადგან სტიქია ხშირად უტევს ე.წ. გალმა ზონის ამ სოფლებს. "ამიტომ საჭირო ზომების მიღებაც დაუყოვნებლივ ხდება. სხვანაირად ეს სოფლები გარე სამყაროს მოსწყდება. ამ შემთხვევაშიც მიმდინარე სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონალური განვითარების ფონდის თანამონაწილეობით დაფინანსდა." _ აღნიშნავს მუნიციპალიტეტის მერი. მან ისიც განაცხადა, რომ მზადდება პროექტი გალმა ზონის სოფლებში ბეტონის გზის დაგების უზრუნველსაყოფად. ამჯერად ვაშალომიძეებისა და სიხარულიძეების უბნებს სტუმრობდა მუნიციპალიტეტის მერი მიმდინარე სამუშაოების დასათვალიერებლად. იქვე ქორეის უბნის წყალმომარაგების საკითხებსაც შეეხო საუბარი და სასმელი წყლის რეზერვუარიც დაათვალიერეს.

მიზანი: C ჰეპატიტის მასიური სკრინინგის უზრუნველყოფა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე

ნინო ნანიტაშვილი

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი 2016 წლიდან ახორციელებს გეგმიურ გასვლით სკრინინგ-აქციებს სხვადასხვა დაწესებულებაში. სწორედ ამ აქციის ფარგლებში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს მიერ, საქართველოს სკრინინგის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, დაიგეგმა C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება. სამტრედიის რკინიგზის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სწრაფი ტესტით კვლევა ჩატარდა როგორც C ჰეპატიტზე, ასევე აივ-ინფექცია შიდსზე.

"სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა იმერეთის სამმართველოს უფროსს, გოჩა გიორგიძეს: "ყველა დადებითი პაციენტისათვის ადგილზევე ხდება ვენური სისხლის აღება შემდგომი კონფირმაციული კვლევისათვის, რომელი კვლევაც აქამდე მკურნალობაში ჩართვის მსურველი პაციენტებისათვის იყო ფასიანი. დღეს დაავადებათა კონტროლის ცენტრი აღნიშნულ კვლევას ახორციელებს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და ჩვენი მოქალაქეებისთვის უფასოა, ისევე როგორც შემდგომი მკურნალობის პროცესი.

სკრინინგის მთავარი მიზანი არის, სრულად მოხდეს მოსახლეობის ტესტირება, გამოვავლინოთ ყველა დადებითი პაციენტი, მათ შესაბამისად ჩაუტარდეთ მკურნალობა სახელმწიფო ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში, რათა უზრუნველვყოთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე C ჰეპატიტის სრული ელიმინაცია".

დღეის მდგომარეობით, ბაზის მონაცემებით, საქართველოში მილიონ 500 000 ადამიანია გამოკვლეული და 5, 54 პროცენტი გამოვლინდა დადებითი C ჰეპატიტი. უკვე ნამკურნალევი და მკურნალობის პროცესში იმყოფება დაახლოებით 50 000 პაციენტი. სპეციალისტების დასკვნით, დროზე გამოვლენა მნიშვნელოვანია, რადგან C ჰეპატიტი ვირუსით გამოწვეული ციროზისა და ღვიძლის კიბოს გართულებები თავიდან იქნეს აცილებული.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის მუნიციპალური ცენტრი რუტინულად, ყოველდღიურ რეჟიმში პირველადი ჯანდაცვის სამსახურისა და ასევე სტაციონარული პოლიკლინიკური ცენტრების მეშვეობით მოსახლეობისათვის ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე უფასო სკრინინგს.

მარინა თევზაძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის ხელმძღვანელი: "ჩვენთან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა სამედიცინო დაწესებულება მარაგდება C ჰეპატიტის მარტივი ტესტით. მოსახლეობას სისტემატურად უტარდება სკრინინგული კვლევა. იმ შემთხვევაში თუ დადებითი აღმოჩნდება, კომფირაციული კვლევისთვის სისხლი იგზავნება დაავადებათა კონტროლის ცენტრის იმერეთის ზონალურ სამსახურში გამოკვლევისათვის. ასეთი აქციები სამტრედიაში ხშირად მიმდინარეობს. ვიმყოფებოდით სალოკომოტივო და სავაგონო დეპოებში, დაახლოებით 70-მდე პირი გამოვიკვლიეთ. სასიხარულოა ის, რომ დადებითი შემთხვევა არ გვქონია. მოვუწოდებთ მოსახლეობას, ვისაც კვლევა არ ჩატარებია, არ შეშინდნენ, დროულად ჩაიტარონ გამოკვლევა.

C ჰეპატიტის დროული გამოვლენა ნიშნავს, თავიდან ავიცილოთ C ჰეპატიტის ვირუსით გამოვლენილი მძიმე დაავადებები და გართულებები."

ევროკავშირი
საქართველოსთვის

EU4Business

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობა ინფორმირება შემდეგ საკითხებზე:

1) კონსოლიდირებული ვაჭრობისა და ინვესტიციების სიღრმისეული და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის DCFTA-ის ფარგლებში ევროკავშირის ბაზრის სურსათის უვნებლობის რეგულაციებზე.

2) ევროკავშირის ბაზარსა და DCFTA-ის ფარგლებში ხილ-ბოსტნეულის მწარმოებლებისა და სურსათის იმპორტიორებისთვის მცირე და საშუალო მეწარმეების და ფერმერების ინფორმირება.

პროექტი ხორციელდება ხაჩერეთის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტებში. პროექტს ახორციელებს აიპ „სამანი"

The project is implemented with financial support of the European Union

1) Food Safety Regulations on DCFTA for Deep and Comprehensive Free Trade Area

2) Informing small and medium entrepreneurs and producers of agricultural products and food products in the EU market and DCFTA The project isThe project is implemented in Samtredia, Vani and Khoni municipalities. The project is implemented "Samani".

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 593 414163

პროექტი მეწარმეებისა და ფერმერებისათვის

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი, რომლის მთავარი განმახორციელებლები არიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, სამოქალაქო განვითარების სააგენტო "სიდა", კვლევითი ინსტიტუტი ISET და ექსპორტის განვითარების ასოციაცია "ათინათი". სამტრედიაში, ვანსა და ხონში პროექტს ახორციელებს აიპ "სამანი". პროექტი გულისხმობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის DGFTA _ სთან დაკავშირებული სურსათის უვნებლობის რეგულაციებს. ევროკავშირის ბაზარსა და DGFTA-სთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის მწარმოებელი მცირე და საშუალო მეწარმეების და ფერმერების ინფორმირებას.

პროექტთან დაკავშირებით ინფორმაცია მოგვაწოდა პროექტის დირექტორმა ანდრო ნიკოლაიშვილმა.

ნათია ნაცვლიშვილი

ისევ ახალი მთავრობა... ახალი პრემიერი

ლევან გაბეჩავა

საქართველოს ისევ ახალი პრემიერი, მთავრობის განახლებული გუნდი ჰყავს.

საკითხავია, საკვირველებაზე რომ არაფერი ვთქვათ, როცა გუშინ, გუშინწინ, იმისწინ არც ერთი მინისტრისა და შესაბამისად სამინისტროს საქმიანობის შესახებ მმართველ ძალას არავითარი სერიოზული შენიშვნებიც კი არ ჰქონდა, რატომ გახდა აუცილებელი 2012 წლიდან მოყოლებული, დროის მცირე მონაკვეთში უკვე მეოთხე პრემიერის დანიშვნა? ვის დავუჯეროთ ჩვენ, ხალხმა, განცხადებებს იმის შესახებ, რომ სამინისტროების შემცირებას ქვეყანისათვის სიკეთის მოტანა შეუძლია, რომ ფინანსები დაიზოგება და იგი სოციალური პროგრამების დაფინანსებას მოხმარდება, თუ ექსპერტებს, მაღალჩინოსნებს, რომ გაიძახიან, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს შერწყმას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, პირიქით, შტატების გაბერვა და მეტი ბიუროკრატიული აპარატი მოჰყვა შედეგად?

მთავარი და უმთავრესი, რამდენად მისაღებია მეგობარი სახელმწიფოებისათვის, იქაური შესაბამისი სტრუქტურებისათვის, საგარეო საქმეთა, ეკონომიკის, კულტურის, მინისტრთა ესოდენი მალიმალ ცვლა?

თავისთავად მინისტრების, ანუ პირველი კაცების ცვლა, ახალი გუნდი ახალი მინისტრის ახალი გარემოცვის დაკომპლექტების აუცილებლობას ხომ ქმნის? დრო ხომ იწელება? ის დრო, საქმის კეთებას რომ უნდა მოხმარდეს და არა თანამდებობის პირთა დანიშვნა არდანიშვნას, კომპრომატების ძებნას და ა. შ.

დაჩქარებული წესით ორ კვირაში ასამდე კანონში უნდა შევიდეს ცვლილებაო, მოვისმინეთ, შევშინდით, სიჩქარეს იშვიათად მოაქვს სიკეთე.

არც ისე დიდი ხნის წინ შეუდგა უფლებების შესრულებას ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო და ნუთუ 100 კანონი ისე გაუთვლელადაა მიღებული, რომ უკვე შიგ ცვლილებებია შესატანი?

საქართველოს პირობებში 100 კანონში ნაჩქარევი წესით შეტანილი ცვლილებების ობიექტურობაში ეჭვის საბაბის შეტანას ხომ არ ბადებს სიტყვები – დაჩქარებული წესით?

ბოდიშს ვიხდით კანონშემოქმედთა წინაშე, მაგრამ აუჩქარებლად მიღებულ 100 კანონში რომ აუცილებელი გახდა ცვლილების შეტნა, (დ)აჩქარების შემდეგ რას უნდა ველოდოთ?

ბუნებრივია, ამ დღეებში განსაკუთრებული სიფხიზლით ვადევნებთ თვალყურს მედიასაშუალებებს, არსად წაგვიკითხავს, არ მოგვისმენია, რომ მინიმალურად მაინც გაიზრდება დასაქმებულთა ხელფასები.

დაანონსდა, მომავალი წლის იანვრიდან პენსიების 20 ლარით შესაძლო მატება.

რატომ მომავალი წლიდან?

რატომ 20 ლარით? როცა მაღალ ეშელონებში, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებშიც კი, მოფიქრებისთანავე გახდა შესაძლებელი ხელფასების და დანამატების მატება?

რას ნიშნავს ეს?

ახლა ჩვენი დროაო?

მოგერიოთო?

მარტივად რომ ვთქვათ, შეფარული ირონია ხომ არ იკითხება აქედან?

რაც შეეხება სამინისტროთა გაერთიანება-შერწყმას,

ცენტრალურ მედიაში უკვე გაჩნდა მთავრობისადმი მიმართვის შემცველი წერილები, სადაც სპეციალისტები არწმუნებენ ხელისუფალთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კულტურისა და სპორტის სამინისტროს შერწყმა, როგორც ერთ, ისე მეორე დარგს დააზარალებსო. ისე, სხვათა შორის უკვე ექსპრემიერმა კვირიკაშვილმა შეამცირა 4 სამინისტრო, მაგრამ...

საკითხავია, სამინისტროთა შერწყმაზე როცაა საუბარი, მარტო ფინანსური უკუგებაა ამ დროს გათვალისწინებული, თუ მეთოდურადაცაა, სტრუქტურულადაცაა გათვლილი, რომ შერწყმით თავად რომელიმე დარგი არ დაზარალდება?

რომ ისევ ხალხს არ დაატყდება თავს ნაჩქარევი გადაწყვეტილების შედეგად გამოწვეული ახალი პრობლემები?

ერთი სიტყვით, ცხადზე ცხადია ფაქტი იმისა, რომ დროის მცირე მონაკვეთში პრემიერი ივანიშვილი ღარიბაშვილმა, ღარიბაშვილი კვირიკაშვილმა, კვირიკაშვილი ბახტაძემ შეცვალა, კადრების სათანადოდ შერჩევის დაბალ ხარისხზე მეტყველებს.

არაფერს ვამბობთ ძალოვანი მინისტრების მალიმალ ცვალებადობაზე, რასაც როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ზიანი მოაქვს ქვეყნისათვის, ხალხისათვის, სახელმწიფოს საგარეო იმიჯისათვის.

რატომ "ჯიუტობენ" პენსიონრები?

რატომ მუშაობს, როცა პენსიასაც ღებულობს?

სანამდე უნდა იმუშაოს?

ოჯახში მაინც ვერ ეტყვიან, სახლში რომ დაჯდეს?

...

ხშირად თუ არა, არც თუ იშვიათად გვესმის მსგავსი ხმები იმ ადამიანთა მისამართით, საპენსიო ასაკი რომ აქვთ და მაინც მუშაობენ.

ჯერ ერთი, მათ კანონი აძლევს ამის საშუალებას, ხოლო ქვეყანაში შენარჩუნებული ფონი პირიქით, არ აძლევთ საშუალებას ოჯახურ გარემოში, მშვიდად ელოდონ პენსიებს.

სხვათა შორის ეს საკითხი, თუ პრობლემა, არახალია, ძველზე ძველია.

ვერ იქნა და ვერ მივაღწიეთ დამოუკიდებლობის აღდგენიდან გასული 27 წლის მანძილზე იმას, რომ ყველა მოქალაქეს სტაჟისა და დამსახურების მიხედვით მივცეთ ხანდაზმულობის პენსიები.

გვესმის, რომ ყველა ხანდაზმული უნდა იყოს პენსიით უზრუნველყოფილი, მაგრამ 40-60 წლის სტაჟის მქონე პიროვნებებს იმდენივე მივცეთ, რამდენიც იმათ, ერთი დღე რომ არ უმუშავნია, არ უნდა იყოს მაინცდამაინც გამართლებული, სწორი.

ბოლოს და ბოლოს, ერთი წლის ნამსახურებისათვის 1 ლარი მაინც არ უნდა დაემატოთ?

აი, მაშინ, როცა შეეძლება კონკრეტულ პენსიონერს, პენსიით საჭირო მედიკამენტების ყიდვა, კომუნალურების გადახდა, ერთი სიტყვით, ჩვეულებრივად არსებობა მაინც, ჯიუტად გვწამს, რომ პენსიონერთა დიდი ნაწილი ნამდვილად დაისვენებს, შინ, ოჯახურ გარემოში გაატარებენ ხანდაზმულობის წლებს.

ასე რომ, გამოუვალი მდგომარეობის გამო მუშაობენ პენსიონრები, მავანნი კი ისე უცქერენ მათ, როგორც დამნაშავეებს.

საოცარია ისიც, რომ ამ მავანთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც თავადაც პენსიონრები არიან, ან დიდი დრო არ აქვთ საპენსიო ასაკამდე.

აი, რატომ "ჯიუტობენ" პენსიონრები.

ისე, რიგ სახლმწფოებში პენსიონრებს, რომლებიც ამავდროულად მუშაობენ, უფრო მეტს უხდიან, ვიდრე სხვებს, ჩვენთან კი?

...

და მაინც, რას მოგვიტანს ხალხს მთავრობის განახლებული გუნდი? იგრძნობს საშუალო და ქვედა ფენა დღევანდელზე უკეთ თავს ხვალ, ზეგ, სამომავლოდ, თუ ისევ მოლოდინი, დაუსრულებელი... მერე კი ისევ ცვლილებები?

როდემდე?

ნუთუ დაუსრულებელი ცვლილებების რეჟიმში შეიძლება ცხოვრება და ქვეყნის აღორძინება?

მოვიხსნათ მუქი სათვალე, რეალურად შევხედოთ მოვლენებს, დროა (თუ უკვე გვიან არაა) ქვეყანაში შევქმნათ ისეთი გარემო, რომ ქართველები დაბრუნდნენ საქართველოში, საკუთარ ოჯახებში, მშობლიურ კერაზე, დროა აღორძინდეს ქვეყნის ეკონომიკა, მრეწველობა, აგრარული სექტორი, დასაქმდნენ ახალგაზრდები.

გამყარდეს ლარი, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად.

შეიქმნას ისეთი გარემო, რომ იმედის განცდა, მომავლის იმედი ჰქონდეს ხალხს.

გვესმის, ეჭვშეუვლად გვწამს, რომ ძალა ევროპაშია, მაგრამ მარტო თეზისებით რომ არაფერი გამოგვივა, ესეც ცხადია.

...

და მაინც, სულგრძელად იმედით ველით, რა იქნება ხვალ?

"ავერსის" კიდევ ერთი ახალმოსახლეობა

29 ივნისს ჭავჭავაძის ქუჩის №5-ში "ავერსის" აფთიაქმა ახალმოსახლეობა იზეიმა. №2 "ავერსის" აფთიაქი სამტრედიაში 2009 წელს ჭანტურიას ქუჩის №2-ში გაიხსნა და მომხმარებელთა მხრიდან იმთავითვე დიდი მოწონება და პატივისცემა დაიმსახურა. აფთიაქს ყოველდღიურად უამრავი ადამიანი აკითხავდა. მოსახლეობის მხრიდან დროთა განმავლობაში გაზრდილ მოთხოვნას მომცრო ზომის აფთიაქი ველარ აკმაყოფილებდა, ამიტომ გახდა საჭირო მისი გაფართოება და ასორტიმენტის სრული სპექტრის წარმოდგენა. რამდენიმე დღის წინ განახლებული აფთიაქის პრეზენტაცია შედგა. აფთიაქის მენეჯერმა ნატო თვალავაძემ, მოადგილემ ქეთევან მაჭარაშვილმა, ფარმაცევტებმა: ლია ურიდიამ, ნინო მაღლაკელიძემ, მარინე ნინუამ, სალომე თვალაბეიშვილმა, მარიკა ლეკვეიშვილმა, "ავერსის" რეგიონალური საააფთიაქო ქსელის დირექტორის მოადგილე პაატა კუბლაშვილმა და ერთგულმა მომხმარებლებმა თავი ერთად მოიყარეს, წითელი ლენტი საზეიმოდ გაჭრეს და მომხმარებელს მრავალი სიახლე შესთავაზეს ტკბილეულთან და საჩუქრებთან ერთად. სამტრედიაში მოსახლეობას "ავერსის" საააფთიაქო ქსელის ორი აფთიაქი ემსახურება. ფარმაცევტული კომპანია 1994 წელს დაარსდა. მან საქართველოში 9000 სამუშაო ადგილი შექმნა და ხარისხიანი მომსახურების მტკიცე სტანდარტი დაამკვიდრა. "ავერსმა" დაარსებისთანავე დაიწყო საქართველოში მედიკამენტების პირდაპირი კონტაქტებით შემოტანა. შესაბამისად მედიკამენტების ხარისხიც მაქსიმალურად გარანტირებულია და ფასიც შედარებით დაბალი.

"ავერსის" პარტნიორები წამყვანი ფარმაცევტული კომპანიები არიან.

ნატო თვალავაძე, "ავერსის" № 2 აფთიაქის მენეჯერი: "ავერსის" საააფთიაქო ქსელი თბილისში 103, ხოლო რეგიონებში 125 აფთიაქით არის წარმოდგენილი. ქსელის უპირატესობაა ხარისხიანი მედიკამენტები, დაბალი ფასები და კვალიფიციური ფარმაცევტული მომსახურება. დღეს ჩვენი ფილიალი ბედნიერია, რადგან განვიცადეთ რებრენდინგი, შემოვედით საუკეთესო ოფისში, სადაც არაჩვეულებრივი სამუშაო გარემო გვაქვს და ასორტიმენტის სრული სპექტრი მოხერხებულადაა წარმოდგენილი. ვულოცავ ჩემს თანამშრომლებს, მომხმარებლებს და ასევე "ავერსის" ხელმძღვანელობას სამტრედიაში ჭავჭავაძის №5-ში აფთიაქის ახალ შენობაში დაფუძნებას.

ნინო ნანიტაშვილი

ჩვენს ტაძარში უწყვეტი ლოცვა გრძელდება

2017 წლის 27 ნოემბერს, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში 24 საათიანი ლოცვის ტრადიცია დაწესდა, მორწმუნეები უფალს ქვეყნის ძლიერებას და გადარჩენას შესთხოვენ. ჩოხოსანთა საზოგადოების სამტრედიის სადროშოს წევრებიც შეუერთდნენ სვეტიცხოვლის უწყვეტი ლოცვის მონაწილეებს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კობა ძიძიგური: "შეიძლება ითქვას, სვეტიცხოველში დაწყებული უწყვეტი ლოცვის ერთი განშტოება გადმოვიდა სამტრედიაში, მოგეხსენებათ, თვეში ერთხელ საჭირო იყო სვეტიცხოვლის ტაძარში მისვლა და საათობრივ ლოცვაში ჩართვა. ტექნიკური პრობლემები შეგვექმნა და ამიტომ, უწყვეტი ლოცვის ორგანიზატორებთან შევთანხმდით, რომ ამ ლოცვის ერთი განშტოება გადმოგვეტანა ჩვენს, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში, სათავეში ჩავუდექით ჩოხოსნები და შემოგვიერთდა ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრევლის გარკვეული ნაწილი, სულ 20 ადამიანი, ლოცვა გრძელდება 24 საათის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში.

ნათია ნაცვლიშვილი

ნიჭიერება ქრისტიანული რწმენის და თავმდაბლობის თანხლებით

ნათია ნაცვლიშვილი

ქსელური პროექტი "ფსოუზე არეკლილი ვარსკვლავებად" საქართველოს სახელმწიფო ენის მასწავლებელთა ასოციაციამ საჯარო და კერძო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის განახორციელა. პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მოსწავლეებში ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გაზრება იყო. ამ პროექტში წარმატებული მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლის მოსწავლეები და მათი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მაია ლორია. ჩვენი რესპონდენტი, გიორგი ჩიბიროვი კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულია. მან წლეულს დაამთავრა მეთერთმეტე საჯარო სკოლა და ექიმობას, კერძოდ, კარდიოქირურგობას აპირებს. გთავაზობთ ამონარიდს გიორგის მიერ პროექტის "ფსოუზე არეკლილი ვარსკვლავებად" ფარგლებში დაწერილი ესე-დან "რა მინდოდა მეთქვა". აქ ის გამოთქვამს თავის მოსაზრებას ფილმის "სიმინდის კუნძული" შესახებ: "სიმინდის კუნძული მიწაა, რომელიც, მოხუცის თქმით, მის შემქმნელს ეკუთვნის, მაგრამ თუ ამ ყველაფერს უფრო ღრმად შევხედავთ, მივხვდებით, რომ ეს კუნძული ის მიწაა, რომელიც უსაქართველოდ აგრძელებს არსებობას. მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრით, მთავარი გმირის მიერ ხორცშესხმული ფიქრით, როცა მას ავიწყდება მისი და შვილიშვილის უსაფრთხოება ქართველის გადარჩენისას, სროლის ნაცვლად _ ბარვით, სისხლის ღვრის ნაცვლად _ ოფლის ღვრით... და ეს რეალურად, სიმინდის გამო... სიმინდი მიწის, წყლისა და ცის ნაყოფი მგონია, რომელთა ჰარმონიული თანაარსებობა ძნელია ან თითქმის შეუძლებელი... შემზარავია ის მომენტი, როცა მთელი მისი შრომა მართლაც რომ წყალში ჩაიყარა, როცა ენგური ადიდდება და მის სახლსაც და მოსავალსაც ანადგურებს. ამავდროულად, თვითონაც ეწირება ამ ყველაფერს, როგორც განუხორციელებელი ჰარმონიის დაშლილი ნაწილი, მისი შვილიშვილი კი სრულიად მარტო დარჩა ამ სისხლიან მიწაზე... რათა ჩვენ დარჩენილზეც ვიფიქროთ და დაღუპულზეც."



როგორც გიორგიმ გვითხრა, ამ კონკურსში მონაწილეობა მას და მის თანაკლასელებს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა მაია ლორიამ ურჩია. აფხაზეთის თემას მიუძღვნეს ახალგაზრდებმა ესეები და ჩანახატები. გიორგის თქმით, აფხაზეთის კონფლიქტზე თანაკლასელთა და ახლობელთა წრეში არაერთხელ უმსჯელია, მას ამ თემაზე უფიქრია და მიიჩნევს, რომ თითოეული გოჯი ჩვენი მიწისა ძვირფასია, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია აფხაზ ძმებთან და დებთან ურთიერთობა, ახალმა თაობამ პროგრესულად უნდა შეხედოს მომავალს და გულხელდაკრეფილნი არ უნდა ისხდნენ. "თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, ამ პრობლემის მოგვარებაში თავისი წვლილი შეიტანოს. არ ვეთანხმები სტერეოტიპებს, რომ ჩვენი თაობა უფროს თაობას ჩამორჩება, უამრავ ნიჭიერ ახალგაზრდას ვიცნობ, დარწმუნებული ვარ, მათ მეტად შესტკივათ გული, ვიდრე ძველი თაობის წარმომადგენლებს."_ გვეუბნება გიორგი. ჩვენი რესპონდენტი არის მორწმუნე, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის დეკანოზ ანტონის (ვაშაკიძე) სულიერი შვილი. გიორგის მოსაზრება ეკლესიაში არსებულ პრობლემებზეც მოვისმინეთ: "მამა ანტონთან ურთიერთობა ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ჩემს ცხოვრებაში, მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს სულიერ ფორმირებაში, ამ ადამიანს ვერ დავახასიათებ ისე, როგორც საჭიროა. რწმენა ყველაზე მნიშვნელოვანია, მგონია, რომ რწმენით გადავრჩებით, ახალგაზრდობა ეკლესიას რომ დაშორდა, ძალიან დასანანია. მამა ანტონის შეფასებას დავეთანხმები და იმათთვის, ვინც ცდილობს, ეკლესიის საქმეებზე საზოგადოებაში ისაუბროს, ვიტყვი: ნოეს სამი შვილი ჰყავდა: სემი, ქამი და იაფეტი, როცა მამამ ღვინო დაწურა, დალია, დათვრა და შიშველი დაწვა, ერთ-ერთმა შვილმა მას დასცინა. ხოლო დანარჩენებმა მას ზემოდან გადააფარეს. ამ მდგომარეობაში ვართ ჩვენ ახლა, ეს პრობლემები ეკლესიის წიაღში უნდა დარჩეს, არ არის საჭირო ამის აფიშირება, საზოგადოების განსახილველ საგნად ქცევა. ეს დაპირისპირება საზოგადოებისა და ეკლესიისათვის დამღუპველია, ცუდი ის არის, რომ ადამიანები არ აცნობიერებენ, თუ რა დანაშაულს სჩადიან, შეცდომებზე ვერაფერს სწავლობენ, სამწუხაროდ, ამ დანაშაულს სხვებში ვხედავთ და თვითკრიტიკულნი არა ვართ."

4 წელია, გიორგი წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის სტიქაროსანია, ბედნიერია იმით, რომ ეკლესია მისი ცხოვრების თანამდევი ნაწილია. პირველად ეკლესიაში დედაქალაქში, საბურთალოზე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში მამა სვიმეონთან მივიდა. როგორც კი სამტრედიაში ჩამოვიდა, მამა ანტონს დაუახლოვდა და იმ დღიდან იწყება მათი სულიერი კავშირი. ტაძარში ასევე დაუახლოვდა შესანიშნავ მხატვარს, დავით მორგოშიას. "ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა პატივი, მცირედი წვლილი შემეტანა ტაძრის მოხატვაში."_ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი. ამბობს, რომ მამისაგან გამოყვა ხაზვის ნიჭი და ეკლესიის მოხატვაში მხოლოდ დილეტანტის დონეზე მიიღო მონაწილეობა. საგნებიდან განსაკუთრებულად მათემატიკა უყვარს, უყვარს ლიტერატურაც, საყვარელ ნაწარმოებად მიხეილ ჯავახიშვილის "ჯყოს ხიხნებს" მიიჩნევს. ამბობს, რომ ამჯერად მხატვრული ლიტერატურისათვის ნაკლებად იცლის და მხოლოდ საჭირო საგნებზეა ორიენტირებული.

გიხაროდენ!

საქართველოს მთავრობის, საქართველოს საპატრიარქოსა და საზოგადოება "ივერიისა" ერთობლივი გადაწყვეტილებით, სრულიად საქართველოში მოგზაურობს აწყურისა და ივერიის ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის ხატები. იგი ეძღვნება 2017-2018 წლებში საქართველოში საეკლესიო ავტოკეფალიისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავის საიუბილეო თარიღებსა და უკანასკნელი 40 წლის მანძილზე სულიერი ცხოვრების აღორძინებას.

"მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიზეზების გამო, მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ შეაჩერა შარშანდელი საიუბილეო ღონისძიებების აღნიშვნა, გამონაკლისის სახით მიზანშეწონილად ჩათვალა საიუბილეო ღონისძიებებიდან დაეტოვებინა ღვთისმშობლის ხატების მოგზაურობა.

სიწმინდეების მოგზაურობა დაიწყო 2017 წლის 17 მაისს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრიდან და დასრულდება 2018 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე." _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე).

რაც შეეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტს, სიწმინდეები წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში დაბრძანებული იქნება მიმდინარე წლის 30 ივნისიდან 7 ივლისის ჩათვლით.

მუნიციპალიტეტებში სიწმინდეების საზეიმოდ დახვედრის ორგანიზებისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროგრამა.

"გასულ წელს მოგზაურობისას სახელმწიფოს ჩართულობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობით, ხოლო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავდა სამღვდელოება. საეკლესიო და სახელმწიფო ზეიმის ერთობლივი აღნიშვნიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში სახელმწიფო სტრუქტურების ჩართვა". ვკითხულობთ შესაბამისი პროგრამის ერთ-ერთ პუნქტში.

ვიმედოვნებთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტში ღირსეულად აღინიშნება ეს უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა _ ღვთისმშობლის ხატების მოგზაურობა.

ლევან გაბაჩავა

მიწისძვრა სამტრედიაში

29 ივნისს, თბილისის დროით 09:30 საათზე, ქუთაისში მოხდა მიწისძვრა. იგი 4,3 მაგნიტუდით განისაზღვრა. მიწისძვრა შეგრძნებადი იყო სამტრედიაშიც.



სამტრედიის მაცნე

თანამედროვე სტანდარტები ღანირის საბავშვო ბაღში

თეა ბაბუნაშვილი

ღანირის საბავშვო ბაღი, დღეს უკვე თანამედროვე სტანდარტებს რომ აკმაყოფილებს, ჯერ კიდევ გუშინ სოფლის სკოლის ერთ ოთახში გახლდათ შეკედლებული. თავდაპირველად იგი საუკუნეს გადაცილებული ოთხწლიანი სკოლის ძველ შენობაში ფუნქციონირებდა. ისტორიული შენობა, რომელიც სამტრედიის შემოგარენში წერა-კითხვის გამავრცელებელ ერთ-ერთ პირველ დაწესებულებად შეიძლება ჩაითვალოს, ბოლო პერიოდში საფრთხის შემცველი გახდა ამგვარი დატვირთვისთვის და ბუნებრივია, საბავშვო ბაღი იქედან გამოასახლეს. ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ გაღებული 150 ათას ლარზე მეტი დასჭირდა საბავშვო დაწესებულების სრულ რეაბილიტაციას. საბოლოოდ ბინა სოფლის გამგეობის ამორტიზებულ შენობაში დაიდო საბავშვო ბაღმა. იგი თანამედროვე მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს.

რამდენიმე დღის წინ ''ჩემი საქართველო აქ არის'' _ ამ პათოსით გაჯერებული ლამაზი ღონისძიებით აღნიშნეს აქაურმა პატარებმა ახალ, კომფორტულ, თანამედროვე ავეჯით აღჭურვილ შენობაში გადასვლის პირველივე სასწავლო წელი. სტუმრად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტის მერ ვალერი ფოცხვერიასთან, მის მოადგილე დავით ბახტაძესთან, საკრებულოს განათლების კომისიის თავმჯდომარე ბადრი შენგელიასთან, ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძესა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურთან ერთად, იმერეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ დალაქიშვილი ჰყავდათ. აქვე იყვნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე და საკრებულოს წევრი ლიზა კრავეიშვილი.

გრიგოლ დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა ვალერიანე ფოცხვერიას პრობლემის სწორად წამოწევისა და მისი მოგვარების ორგანიზებისთვის. მუნიციპალიტეტის მერმა კი აღნიშნა, რომ არაერთ პრიორიტეტს შორის, მუნიციპალიტეტს რომ აქვს აღებული, საბავშვო ბაღების მოწესრიგება ერთ-ერთი პირველია. მართალია, ბევრი რამ მოვაწესრიგეთ, მაგრამ ვისურვებდი, კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეგვეძლოს. სურვილს მონდომებაც ერთვის და იმედია, ეტაპობრივად ყველა პრობლემა აღმოიფხვრება.''

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლები და მისი ხელმძღვანელი ხათუნა გაგუა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან მხარდაჭერაზე საუბრობდნენ. ''გვესმის, რომ ჯერ ვერ ვუახლოვდებით ევროპულ სტანდარტებს ყველა საბავშვო დაწესებულებაში. თუმცა, მნიშვნელოვნად შეცვილილი და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტებს მიახლოვებული გარემო, ადგილობრივი ხელისუფლების და უშუალოდ მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერაზე მეტყველებს.'' – განაცხადა ხათუნა გაგუამ.

ღანირის საბავშვო ბაღი, სადაც ამ ეტაპზე 28 აღსაზრდელი ჰყავთ, 60 ბავშვზეა გათვლილი. მისი მმართველი ლელა ქავზინაძე აღნიშნავს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კონტინგენტის მატებას ელოდებიან, რადგან: ''მოუწესრიგებელი საბავშვო დაწესებულების გამო ადგილობრივებს შვილები სხვადასხვა საბავშვო ბაღებში მიჰყავდათ. ამიერიდან ეს პრობლემა მოხსნილია და ვფიქრობთ, გაიზრდება ბავშვთა რაოდენობა.'' მან განსაკუთრებით აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერის დახმარება სამუშაოების პროცესში, ყველა ჩვენს თხოვნას ასრულებდა, რაც არ მოგვეწონებოდა, მშენებლებთან გვშუამავლობდაო. სიმბოლური საჩუქარი საბავშვო ბაღის სახელით ამიტომაც გადასცეს აქაურებმა ვალერიანე ფოცხვერიას.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, უახლოეს მომავალში ნაბაკევში არსებული საბავშვო ბაღის სრულ რეაბილიტაციაზე დაიწყებენ ზრუნვას. იქაც იგივე პრობლემაა, რაც ღანირთან მიმართებაში იყო. ამიტომ სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაცია სოფლიდან მიგრაციის პრობლემასაც რამდენადმე შეამცირებს.

სამტრედიაში საერთაშორისო ოლიმპიური დღე აღინიშნა

მსოფლიოს მასშტაბით ოლიმპიური დღის 23 ივნისს დაწესება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების თარიღს (1894 წლის 23 ივნისი) უკავშირდება. ჩვენს ქვეყანაში ამ დღისადმი მიძღვნილი ოლიმპიური გარბენი 1993 წლიდან იმართება, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (GNOC) საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (IOC) აღიარა და თავის სრულუფლებიან წევრად მიიღო.

ოლიმპიური დღე სამტრედიაში ტრადიციული გარბენის მოწყობით აღინიშნა. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ კომპლექსური სპორტული სკოლის სხვადასხვა ჯგუფის მოსწავლეები. მწვრთნელ-მასწავლებლების თქმით, თითოეული ასეთი აქტივობა სასარგებლოა ახალგაზრდებისათვის. მათთვის კი, ვინც სპორტის ამა თუ იმ სახეობას ეუფლება, ეს ერთგვარი ვარჯიში ყოველდღიურობის ნაწილია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის (სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე) მიერ ორგანიზებულ მასობრივ გარბენში გამოვლენილი გამარჯვებულები მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა ოლიმპიური კომიტეტისა და მუნიციპალიტეტის მერიის საჩუქრებით, ასევე სპეციალური სიგელებით დააჯილდოეს.

პოზიციები პირველ, მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე მონაწილეებს შორის შემდეგნაირად განაწილდა:

ვაჟთა შორის (ასაკით უფროსთა ჯგუფი) I - ლუკა რუსია, II - მიხეილ გოცირიძე, III - ავთანდილ კუტალაძე.

ვაჟთა შორის (ასაკით უმცროსთა ჯგუფი) I - თომა ჩაჩუა, II - საბა კაკაბაძე, III - ედიკა ისრაელიანი.

გოგონათა შორის I - სალომე კვინტრაძე, II - ანა ხაბეიშვილი, III - ლიზი ჯაბუა.

საჩუქრები გადაეცათ ვაჟთა და გოგონათა შორის ასაკით ყველაზე უმცროს მონაწილეებს - ლუკა კანდელაკსა და ანასტასია ცინცაძეს.

სპორტულ გარბენში აქტიური მონაწილეობისათვის ორგანიზატორებმა დააჯილდოეს ანა ლიპარტელიანი.

შოთა კაკავა

დროს დაუმორჩილებელი სილამაზე და ნიჭიერება

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის ბიოგრაფიას თავიანთი მოღვაწეობით ის ადამიანები წერენ, ვისი ნიჭი, ინტელექტი და პროფესიული ძალისხმევაც ამ პატარა ქალაქისათვის დაიხარჯა. წლების წინ სამტრედიის ქუჩებს ამშვენებდა მომხიბლავი, ეშხიანი ქალბატონი, რომლის სახელიც პროფესიონალიზმთან და წესიერებასთან იყო გაიგივებული. ლილი დვალიშვილი რკინიგზის სანეპიდსადგურის ექიმი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ მუდმივად ფორმაში ყოფნისა და მისი გარეგნული მშვენიერების მიღმა ოთხი შვილისათვის გათეული ღამეები და საოჯახო საქმეების რუტინაც იდგა. მას ქალაქის კოლორიტ ქალბატონად მიიჩნევდნენ. გაუხუნარი, ნათელი გონებითა და ასაკთან შერკინების უნარით ჩვენც გაგვაოცა. "სამტრედიის მაცნე" ქალბატონ ლილის ტელეფონით დაუკავშირდა და მის მიერ ლირსებითა და შრომისმოყვარეობით გავლილი წლების მოგონება სთხოვა, შესანიშნავი ქალბატონი ბევრ საგულისხმო ამბავს გაიხსენებს.

_ 1935 წელს თელავში დავიბადე, ომი რომ დამთავრდა, 10 წლისა ვიყავი. მამა პარტიული მუშაკი იყო და პანკისში, დუისსა და ჯოყოლოში საბჭოს თავმჯდომარედ გაამწესეს. ცოტა რომ წამოვიზარდე, მერვე-მეცხრე კლასიდან მეც იქ წამიყვანეს, დედა პედაგოგად მუშაობდა, საშუალო სკოლა 1951-52 წლებში დავამთავრე, 1959 წელს დავამთავრე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარიულ-ჰიგიენური ფაკულტეტი, შემდეგ გამანაწილეს ახმეტაში სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგედ. ახმეტაში განაწილება ძალიან გამიხარდა, ახლოს იყო ჯოყოლო და დუისი, სადაც სკოლაში დავდიოდი და რატომღაც კარგად შეეგუე იქაურ ზნე-ჩვეულებებს, ძალიან მომწონდა იქაური ხალხი. მახსოვს, იმ პერიოდში დუისში დიფტერიის საშინელი ეპიდემია მძვინვარებდა, სანეპიდსადგურის წარმომადგენლები სხვა ბაქტერიოლოგებთან ერთად ვზრუნავდით, ბავშვები რომ გადაგვერჩინა. ეს ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაო იყო, რა თქმა უნდა, შესაბამის უწყებებს სწრაფად უნდა მიეღოთ ზომები, ჩვენს აღებულ ანალიზებს ვეზავნიდით თბილისში. დაახლოებით ამავე პერიოდში გავთხოვდი, მე და ჩემი მომავალი მეუღლე, სამტრედიელი გურამ კალოიანი ერთმანეთს სტუდენტობის წლებიდან ვიცნობდით. ის გეოლოგი იყო და ახმეტაში თერმული წყლების უბნის უფროსი იყო. 60-იანი წლებიდან სამტრედიაში დავფუძნდით და სამსახურიც აქვე დავიწყე, იმხანად სამტრედიაში არსებობდა ქალაქის და რკინიგზის სანიტარული სამსახურები. ეს უკანასკნელი ემსახურებოდა წიფის გვირაბიდან სოხუმამდე საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს. მე სწორედ აქ დავიწყე მუშაობა. ეს იყო ძალიან ნაყოფიერი მუშაობის პერიოდი, სამტრედიაში იმხანად დიფტერიის კერა არ იყო ჩამქრალი, მოგვიწია ძალიან აქტიური მუშაობა. ხშირად მიხდებოდა მივლინებებში წასვლა. მახსოვს, უფროსი შვილი ერთი წლისა მყავდა, დავტოვე და ბათუმში წავედი მივლინებით. ამ ქალაქში ქოლერის ეპიდემია მძვინვარებდა, მე უკვე გადამზადებული ვიყავი და გავლილი მქონდა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების კურსი, ამ დაავადებათა შესასწავლად საქართველოს ყველა კუთხიდან მიჰყავდათ ბაქტერიოლოგები, მათ შორის გახლდით მეც. წინა ღამით შემატყობინეს, რომ მეორე დღეს წავსულიყავი ბათუმში. იქ იყო უდიდესი ბაქტერიოლოგი, ზინაიდა ერმოლოვა, მასთან ერთად ვმუშაობდი, ავადმყოფები ჰოსპიტალში იყვნენ, ჩვენ კი, ლაბორატორიაში მიგვქონდა მასალა. მთელი ღამე ვთესდით და ვიკვლევდით, დიაგნოზირება სწრაფად რომ მოგვეხდინა, ღამით ვმორიგეობდით და ვმუშაობდით, ძალისხმევას არ ვზოგავდით, სწრაფად რომ მოსპობილიყო ქოლერა. მხოლოდ ერთადერთი სტუდენტი დაიღუპა. ერმოლოვას მადლობაც დავიმახსოვრე კარგი და თავდაუზოგავი საქმიანობისთვის, ქართველმა ექიმებმა დიაგნოზი სწრაფად დასვეს და ერთის მეტი ადამიანი არ მომკვდარა.

_ სამტრედიაში მოღვაწეობის პერიოდი გაიხსენეთ, როგორი იყო იმ პერიოდის ქალაქი, როგორი ურთიერთობები გაკავშირებდათ ერთმანეთთან? ვინ იყვნენ თქვენი მეგობრები?

_ სამტრედია, ეს არის ჩემი სიყვარული, სიხარული! პირველად რომ ჩამოვედი ამ ქალაქში, იმხანად დიდ ჯიხაიშში მძვინვარებდა ციმბირის წყლული, ქალაქში გეხვდებოდა მუცლის ტიფის შემთხვევებიც. უამრავ საქმეს ვაკეთებდით, ვამოწმებდით საავადმყოფოებს ქუთაისსა და ბათუმში, რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში იყო სავაგონო და სალოკომოტივო დეპოები, სალიანდაგო დისტანცია, მათაც ვაკონტროლებდით, ვსწავლობდით, იყო თუ არა მოწესრიგებული სასადილოებში სველი წერტილები... ამას გარდა, ვიდრე მატარებელი არ წავა, ცვლადი დენი მუდმივ დენში უნდა გადავიდეს, ამიტომ იყო მავნე აირები, ხშირად ხალხი სინდიყით, ვერცხლისწყლით იწამლებოდა, მუშებს კბილები უშავდებოდათ, კონტროლდებოდა მიკროკლიმატი. ის, თუ რა წყალს სვამდნენ. სანეპიდსადგურის თანამშრომლები ასევე ვებრძოდით კოღოებს, მღრღნელებს ყველა ორგანიზაციაში და რკინიგზის დასახლებაშიც. ზოგჯერ წყალი საშინლად დაბინძურებული იყო, ხდებოდა მისი ქლორაცია, ვაგონებში დატილიანების შემთხვევებიც იყო. ერთი სიტყვით, ძალიან ჯანმრთელი იყო რკინიგზა! სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს სიახლოვეს 90-იანი წლების ბოლოს იდგა "მაგთის" ანძა, მარცხნივ იყო ქვესადგური, სადაც ცვლადი დენი მუდმივს ენაცვლებოდა, ისეთი შემთხვევაც მახსოვს, სალოკომოტივო დეპოში ხალხი დაიწვა, გამონაყარი გაუჩნდათ. მაშინვე ვთქვით, რომ ეს რადიაციის ბრალი იყო. ბოლომდე ვიმუშავე, ვიდრე ჩვენი სამსახური არ გაუქმდა. სააკაშვილის ხელისუფლება რომ მოვიდა, ყველაზე გვიან ჩვენი სამსახური გააუქმეს. ახლა მთელი აპარატურა დაჟანგული და განადგურებულია. ეს სანეპიდსადგური 1937 წელს ექიმმა პროკლე მილორავამ დააარსა, ჯერ ბატონი პროკლე იყო მთავარი ექიმი, შემდეგ იყო გუჟუაძე, მის შემდეგ, ჟორა შედანია. ბატონი ჟორა არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, 4 შვილი რომ მყავდა და მიჭირდა, ძნელი იყო ცხოვრება, შეთავსებით სამუშაო მომცა რკინიგზაში, პატიოსანზე პატიოსანი ადამიანი გახლდათ, ეს სამსახური ჩემი შვილებისათვის დიდი დახმარება იყო. როგორც კი ჟორა შედანია მთავარ ექიმად დაინიშნა, მალე მის მოადგილედ დავინიშნე, მისი გარდაცვალების მერე კი, მთავარი ექიმი მე ვიყავი, დაახლოებით, 15 წლის განმავლობაში. უამრავ სამტრედიელს ძალიან თბილად ვიხსენებ, მათ შორის, თქვენი გაზეთის დირექტორს, ბატონ ბეჟან გოგიას, მახსოვს მისი თანადგომა, როცა ის ქალაქის მერი იყო.

_ შვილებმა წარმატებული დედამის პროფესიები აირჩიეს?

_ ჩემმა უფროსმა შვილმა ნანამ ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა, უნივერსიტეტი, კათედრაზე დარჩა, მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე, ბრწყინვალე ნიჭის მქონე იყო, დიდ პატივს სცემდნენ. სამწუხაროდ, ავარიაში მოყვა და ტრაგიკულად დაიღუპა. მყავს შვილები კობა, თამარი და ეკა. კობამ რკინიგზის ინსტიტუტი დაამთავრა, თამარი და ეკა დედაქალაქში მოღვაწეობენ, ექიმები არიან, თამარი საუკეთესო ციტოლოგია და რამდენიმე კლინიკასთან თანამშრომლობს, ეკა კი ენდოკრინოლოგია. მყავს შვილიშვილები: გიორგი, გურამი, ნანა, თამარი და დავითი, მყავს შვილთაშვილები დავითი და გურამი.

_ სამტრედიის ულამაზეს ქალბატონად და ელიტარულ ქალად მიგიჩნევდნენ, როგორ ფიქრობთ, თქვენი სილამაზის საიდუმლო რა იყო?

_ არაფერი საიდუმლო არ არსებობდა, უბრალოდ, ყოველდღე მოწესრიგებული ვიყავი, თმებს შინაურ ვითარებაში, სახლში "ბიგუდებით" ვიხვევდი, სად იყო მაშინ ამდენი სტილისტი და სილამაზის სალონი! ჩემი ორგანიზმი იყო ჯანმრთელი! სადილ-ვახშამს, სახლის დალაგებას თუ მოინდომებ, ყველა საქმეს მოასწრებ! დედამთილ-მამამთილი მყავდა ძალიან კარგი, ხელს მიწყობდნენ, ეწერში ვცხოვრობდი, ოჯახში გვყავდა შინაური ფრინველი, ინდაური, ქათამი, ერთხელ ტყემალს ვკრეფდი და ხიდანაც ჩამოვვარდი, ექიმი შოთა კალაძე მეუბნებოდა: რა გინდოდა ექიმ ქალს ხეზეო? ალბათ, ცხოვრების ჯანსაღი წესით ვცხოვრობდი, შვილებიც ჯანმრთელები მყავდნენ, საქმის გამო ხანდახან ღამე გამითევია, სულ ვშრომობდი, მაშინაც კი, როცა უდიდესი განსაცდელი დამიდგა ცხოვრებაში და შვილი დამეღუპა. თუ მოინდომებ ადამიანი, ყველაფერს გაკეთებ. მეტყოდნენ ხოლმე ახლობელი ქალბატონები, ლილი დეიდა, საქმეების მოსწრებაში თქვენ გბაძავთო. რა ვიცი, როგორ გითხრათ... მეუღლე ძალიან კარგი ადამიანი იყო, იუმორის დიდი ნიჭით დაჯილდოვებული და მუდამ ხელს მიწყობდა, ალბათ, ურთიერთის ლანძღვა-გინება რომ ყოფილიყო ოჯახში, პროფესიულ წინსვლაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა. იცით რა? ადამიანი თურმე არ იცვლება. ახლაც არ შემიძლია მოუწესრიგებლად სახლიდან გასვლა! ეს ადამიანის ბუნებაა ალბათ!

_ ასეთი დაძაბული ცხოვრების რიტმის მქონე იცლიდით სულიერ სფეროზე საზრუნავად? წიგნისთვის გეცალათ?

_ დრო მრჩებოდა, მაგრამ უფრო მეტად სამედიცინო ლიტერატურას ვეტანებოდი, მიყვარს, ცხადია, ქართველი პოეტები ლადო ასათიანი, ანა კალანდაძე და სხვები.

_ მაინც როგორ შეაფასებთ ცხოვრებას, როგორია იგი?

_ რა თქმა უნდა, ჩემი შვილიშვილები რომ მოვლენ, პატარა შვილთაშვილი ხელებს რომ აფართხუნებს და იცინის, ეს ბედნიერებაა, მაგრამ ძალიან ნაწყენი ვარ ცხოვრებაზე... სამტრედიელები იყვნენ ჩემი საუკეთესო მეგობრები, ახლახან გარდაიცვალა ვერუშა ვაშაკიძე, ძალიან კარგად დაიტირეს სამტრედიელებმა ეს ღირსეული ქალბატონი, ასე იციან სამტრედიაში ღირსეულის სიყვარული და დაფასება. ყველანი ძალიან მენატრებით, სამტრედიელები ძალიან მიყვარხართ, 26 წლის ასაკიდან ამ ქალაქში ვიცხოვრე, სამტრედიის ქუჩებში გავლა ძალიან მენატრება.

“ქალი და მუსიკა” მზია ჯინჭველაშვილის შემოქმედებითი საღამო

ქეთევან ჭელიძე

მრავალი წელია, მუსიკის ენით ეფერება სამტრედიელებს. ის საღამოც ბგერებად დაყოფილი სიყვარულის გულწრფელი გაცხადება გახლდათ. ტაშსა და ოვაციას არ იშურებდნენ კომპოზიტორ მზია ჯინჭველაშვილისადმი მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები. ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში მუსიკა ზეიმობდა.

კომპოზიტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი საინტერესო სცენარი “ქალი და მუსიკა” შესთავაზა მაყურებელს ქალბატონმა ლალი თადუმაძემ. მან წამყვანის მისიაც შეასრულა და ხელოვანის მსმენელთან ეს შეხვედრაც გამორჩეული გახადა.

ჟანრობრივად მრავალფეროვანი და მრავალწლიანი შემოქმედება, როგორც ქალბატონი მზია ამბობს, უმეტესად სამტრედიელთათვის შეიქმნა. იგი 500-მდე ნაწარმოების, 4 ლირიკული და ამდენივე საბავშვო კრებულის ავტორია.

პირველი ნაწარმოები 13 წლის ასაკში შექმნა. საშუალო სკოლის პარალელურად დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლა დაამთავრა. სწავლა მ. ბალანჩივაძის სახელობის №3 სამუსიკო სასწავლებელში გააგრძელა. ისეთმა ცნობილმა ადამიანებმა, როგორებიც ალექსანდრე შავერზაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, არჩილ კერესელიძე, შოთა მილორავა და სხვები იყვნენ. ნიჭიერი ახალგაზრდის პროფესიონალურ დაოსტატებას შეუწყვეს ხელი.

ქალბატონი მზიას პედაგოგიური მოღვაწეობა სამტრედიაში მის მშობლიურ სამუსიკო სკოლაში იწყება. თანაქალაქელებმა აიტაცეს და შეიყვარეს მის მიერ შექმნილი მრავალი სიმღერა. იგი მონაწილეა საქართველოსა და რაიონის მასშტაბით გამართული საღამოებისა და კონკურსების. მისი შემოქმედება გაშუქდა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე. კომპოზიტორს განებივრებული ჰყავს სამტრედიელები თავისი საავტორო საღამოებით. ის მრავალჯერ იქნა დაჯილდოვებული ქართული კულტურის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისთვის.

ფიქრობს, რომ ყოველდღიური რუტინული ცხოვრების შესამსუბუქებლად მსგავსი საღამოები საუკეთესო საშუალებაა. პროგრამა, რითაც ის მსმენელის წინაშე წარსდგა, მდიდარი იყო არა მარტო სასიმღერო, არამედ კლასიკური ნაწარმოებებითაც.

სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ ინდივიდუალური შემსრულებლები: ბექა თევზაძე, ელეონორა ესებუა, ნანა ჭეიშვილი, ანა აბზიანიძე, მარინა ვარდანიძე, ნინო თავაძე. მათ შორის იყო, პროფესორი რამაზ კუბლაშვილი, რომელსაც კონცერტმეისტერობას ელისო ბარათელი უწევდა. გულგრილი არ დატოვა მაყურებელი წმინდა ნაზარი ლეჟავას საზელობის მართლმადიდებლური სკოლის მგალობელთა გუნდის (ხელმძღვანელი ირმა არველაძე) საგალობელმა. მოწონება ხვდა მარინა ახობაძისა და იასონ ბელთაძის დუეტს, ნათელა ჯიმშელეიშვილის, დალი დავითაიას, მარინა ვარდანიძისა და ანა აბზიანიძის კვარტეტს, ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ “ათინათს”, ანსამბლ “სამტრედიას” (ხელმძღვანელი ზურაბ მეფარიშვილი),

გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლს (ხელმძღვანელი მერი ტკვაცირია), დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის ანსამბლ “იმედს”, (ხელმძღვანელები რუსუდან ქუთათელაძე და ნინო მელუა). ქრისტინე ზაქრაძის ანსამბლ “ფანტაზიის” წევრებმა კი მზია ჯინჭველაშვილის სიმღერაზე ბოშური ცეკვა შეასრულეს. მარინა ახობაძემ კომპოზიტორის ქალიშვილის, თეა აბაშიძის შექმნილი მუსიკის მისეული არანჟირება შესთავაზა მსმენელს. ღონისძიებაში მონაწილეობა მზია ჯინჭველაშვილის საბავშვო სიმღერით საჯავახოს საბავშვო ბაღის (მმართველი ნაზი კოპალეიშვილი, პედაგოგი ნანული რობაქიძე) აღსაზრდელებმაც მიიღეს.

მონიტორზე ფრაგმენტებად ცოცხლდებოდა წარსული. მსმენელმა კიდევ ერთხელ გაიხსენა კომპოზიტორისა და ნათელა დევიძის ცნობილი დუეტის მიერ შესრულებული სიმღერები. ტრიო “სიმების” “ციცუნია”, რომელიც მთელმა სამტრედიამ შეიყვარა. ასევე, სასიამოვნოდ აჟღერდა ქალბატონი მზიასა და ნუგზარ სურმავას “მუნასიბი”. მოუსმინა კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილს, რომელმაც დადებითად შეაფასა ქალბატონი მზიას საბავშვო სიმღერები. ეკრანიდან დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლის ყოფილი დირექტორის, ქალბატონ მზიას დამკვალიანებლის, ოთარ შანიძის მისადმი ნათქვამი სიტყვებიც სასიამოვნოდ გაჟღერდა დარბაზში.

მაყურებელი მოიხიბლა ნათია გაბრიაძის მიერ შესრულებული ვიოლინოსათვის დაწერილი “ქართული ნაწარმოები ფლეიტაზე ინგა შანიძემ დაუკრა. “ელეგია” შეასრულა დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის (დირექტორი ლეილა შოშიაშვილი, პედაგოგი ვერიკო ლორთქიფანიძე) მოსწავლემ ლიზი ჩაჩუამ. ავტორმა მრავალი სიმღერა სამტრედიელი პოეტების ტექსტებზე შექმნა. პოეტ ბაჩუკი ჩაბრაძის ლექსის “შენ ხარ ქალი” ტექსტზე კი მუსიკალური კომპოზიცია როიალზე ადვოკატმა ლალი თადუმაძემ შეასრულა.

მზია ჯინჭველაშვილმა მადლობა გადაუხადა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას. “სამტრედიის მაცნეკეკვით”. ფლეიტისათვის შექმნილი “ნოსტალგიით”, რომელიც გარდაცვლილ ხელოვანებს მიუძღვნა კომპოზიტორმა. კონცერტმეისტერ ნათია ვარდანიძესთან ერთად მუსიკალურ ნაწარმოებებს ფლეიტაზე ინგა შანიძემ დაუკრა. “ელეგია” შეასრულა დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის (დირექტორი ლეილა შოშიაშვილი, პედაგოგი ვერიკო ლორთქიფანიძე) მოსწავლემ ლიზი ჩაჩუამ. ავტორმა მრავალი სიმღერა სამტრედიელი პოეტების ტექსტებზე შექმნა. პოეტ ბაჩუკი ჩაბრაძის ლექსის “შენ ხარ ქალი” ტექსტზე კი მუსიკალური კომპოზიცია როიალზე ადვოკატმა ლალი თადუმაძემ შეასრულა.

მზია ჯინჭველაშვილმა მადლობა გადაუხადა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას. “სამტრედიის მაცნესთან” კი განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც საღამოს ორგანიზებაში დახმარება გაუწია. გულთბილი სიტყვები თქვა დომენტი შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის დირექტორის, ირმა შანიძის, მიმართ. “რომ არა ირმას გვერდით დგომა, დამერწმუნეთ, საღამო არ შედგებოდა”. _ აღნიშნა მან. _ “უშურველად დამითმო სკოლის დარბაზი, სადაც ჩემი ნაწარმოებების ჩაწერა მოხდა, რომ შემდეგ მონიტორის საშუალებით მაყურებლამდე მიგვეტანა”.

მსმენელთან ყოველი შეხვედრა კომპოზიტორი ქალბატონისთვის სტიმულის მიმცემია, კიდევ მეტი ნაწარმოები შექმნას, გული გაუთბოს და ცხოვრება გაულამაზოს.

ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში

“მინდა, ჩემი შვილის და მის თანამებრძოლთა ღვაწლი დაფასდეს”

ნათია ნაცვლიშვილი

სოფელ ტოლების მკვიდრი, ანზორ გოგოლაძე, ძმათამკვლელი ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების დროს, ავბედითი 1993 წლის 16 ოქტომბერს სამტრედიაში, ყოფილი სპორტული მაღაზიის სიახლოვეს ჩაცხრილეს. სინდის-ნამუსიანი კაცის სიკვდილი ერისათვის უდიდესი დანაკლისია. სამწუხაროდ, ტყვიების წვიმამ და პოლიტიკურმა ქარტეხილებმა რომ გადაიარა, სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე და ბარიკადების ორ მხარეს მდგარმა ქართველებმა ღირებულებები მერე გადააფასეს, საკუთარი შეცდომები გვიან შეიგნეს... მადლიერმა ქალაქმა გმირის ხსოვნა შინმოუსვლელის ძეგლთან მდებარე მემორიალზე, მისი გვარ-სახელის დატანით უკვდავყო. ჩვენ ეროვნული მოძრაობის ღირსეული წარმომადგენლის პორტრეტს ანზორ გოგოლაძის აღმზრდელი დედის, მხცოვანი ქალბატონის, ლამარა ვაშალომიძე-გოგოლაძის მონაყოლით დავხატავთ. მამის ბიოგრაფიის აღდგენაში შვილიც, ვაჟა გოგოლაძეც დაგვეხმარება.

ლამარა ვაშალომიძე-გოგოლაძე: “ანზორი 1958 წლის დეკემბერში დაიბადა, ტოლების რვაწლიანი სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო. ძალიან ნიჭიერი იყო, სამხედრო საქმე ყოველთვის იზიდავდა, ორწლიანი სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარა, გაიცნო ზვიად ძიძიგური და ეროვნულ მოძრაობაში ჩაება. იყო “საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების” წევრი,

მუშაობდა რკინა-ბეტონის ქარხანაში ინჟინრად, ცხოვრობდა დიდუბეში, სამშობლოს ისტორიას კარგად იცნობდა, ყოველთვის ებრალებოდა გაჭირვებული, მახსოვს, სამსახურში ბინა უნდა მიეცათ მისთვის, მაგრამ მის თანამშრომელს, მრავალშვილიანი ოჯახის მამას დაუთმო რიგი. ჩემს შვილს ლანდივით უკან დავდევდი. რომ ვეუბნებოდი, შვილო, თავს გაუფრთხილდი-თქო, მეუბნებოდა, მე მუდამ ჩემს თანამებრძოლებთან, ჩემს ძმებთან ერთად ვიქნებიო. საქართველოს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, როგორც საარჩევნო ბლოკ “მრგვალი მაგიდა _თავისუფალი საქართველოს” წარმომადგენელმა. 1991 წელს ის აირჩიეს “წმინდა ილია მართლის საზოგადოების” თბილისის საქალაქო განყოფილების გამგეობის შემადგენლობაში. მოგვიანებით, მას როგორც წესიერ და ღირსეულ ადამიანს, ნდობას უცხადებენ და ირჩევენ თბილისის დიდუბის რაიონის საკრებულოს წევრად. ძალიან მალე კი არჩეულია ვაჭრობისა და სოციალური დაცვის კომისიის თავმჯდომარედ.”

_ ანზორ გოგოლაძე გვერდიდან არ მოსცილებია ზვიად გამსახურდიას, ბოლომდე იცავდა კანონიერ ხელისუფლებას და ბუნკერი პრეზიდენტის ამალასთან ერთად დატოვა. ამ ამბების მერე თუ შეხვდით მას?

_ როცა 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, პრეზიდენტის უშუალო განკარგულებით (ზვიად გამსახურდია “წმინდა ილია მართლის საზოგადოების” თავმჯდომარე იყო) უზენაესი საბჭოს შენობის მარცხენა ფლიგელს სწორედ “წმინდა ილია მართლის საზოგადოება” იცავდა საზოგადოების თავმჯდომარის, გია ჩხეკვაძის ხელმძღვანელობით. ანზორი 1991 წლის 21 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე იმყოფებოდა უზენაესი საბჭოს შენობაში და იცავდა კანონიერ ხელისუფლებას. 6 იანვარს, გამთენიისას პრეზიდენტი და მისი გუნდი იძულებული გახადეს, დაეტოვებინათ უზენაესი საბჭოს შენობა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, კანონიერი ხელისუფლების დამცველები სხვადასხვა მიმართულებით გავიდნენ უზენაესი საბჭოს შენობიდან, ანზორი იმ ავტობუსში იმყოფებოდა, რომელიც მეტეხის ხიდთან დაცხრილეს. ამავე ავტობუსში მასთან ერთად იმყოფებოდნენ გურამ აბსნაძე და ნემო ბურჭულაძე. ანზორი მსუბუქად დაიჭრა, მან თავისი ჯავშანჟილეტი გაიძრო და თავის მამიდაშვილს, მასზე ახალგაზრდა ზაზა ვაშალომიძეს ჩააცვა, ზაზას 9 ტყვია მოხვდა და ის ჟილეტი რომ არ სცმოდა, დაიღუპებოდა. ზაზას უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა, ანზორს რომ მიაკითხა უზენაესი საბჭოს შენობასთან, მას მერე აღარ მოშორებია. დაჭრილმა ანზორმა, ავტობუსში მყოფ “წმინდა ილია მართლის საზოგადოების” გამგეობის წევრ ექიმ მაუგლი ჩხეკვაძესთან ერთად თავდაუზოგავად იზრუნა მძიმედ დაჭრილთა დასახმარებლად და ისინი საავადმყოფომდე მიიყვანა. მე ის კარგა ხანი არ მინახავს. იცით, რა მინდა ვთქვა? მე დღეს არ მინდა გავარკვიო ანზორის სიკვდილის დეტალები, რადგან არ მინდა ჩემმა შვილიშვილმა, ვაჟამ, მამის მკვლელებს სამაგიერო გადაუხადოს. თბილისში სამოქალაქო ომი რომ დაიწყო და ზარბაზნები ისროდნენ, მატარებელი და სარკინიგზო კავშირი რომ არ არსებობდა დედაქალაქთან, ძლივს ჩავაღწიე იქ, ვარკეთილში კორპუსები ზანზარებდა, მახსოვს, სულ არ ველოდი, ისე მოულოდნელად მოვიდა ანზორი სახლში წყალი გადაივლო და წავიდა. მას შემდეგ მთავრობის სახლს არ მოშორებია, ზვიადის ერთგული ჯარისკაცი იყო ბოლომდე. ხშირად გამიგონია: ზვიადმა დააქცია ქვეყანაო! არადა, ზვიადს არ უსვრია, მას ესროლეს! ქართველმა ხალხმა ზვიადის ხსოვნა უკვე უკვდავყო, მინდა იმ დღეს შევესწრო, ზვიად გამსახურდია წმინდანად შეირაცხოს! მინდა, ჩემი შვილის და მისი თანამებრძოლების ხსოვნა არ მიეცეს დავიწყებას და მათი ღვაწლი დაფასდეს!



ანზორი 1992 წლის დეკემბრიდან ზვიად გამსახურდიას ბრძანებით ჩაირიცხა ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში, იყო გურია-იმერეთის პოლკის შემადგენლობაში, იმსახურა უფროსი ლეიტენანტის ჩინით. 1993 წლის ივლისში, როგორც იცით, შევარდნაძის ხელისუფლება და კანონიერი ხელისუფლების მომხრეები აფხაზეთის ომის დროს გაერთიანდნენ და ერთად იცავდნენ სოხუმს, ანზორი მონაწილეობდა ტამიშში გადმოსხმული რუსული დესანტის განადგურებაში, ასევე მონაწილეობდა გალის რაიონის დაცვაში სოფელ აგუბედიასთან. 1993 წელს, როცა ანაკლიაში იყო დაბანაკებული გურია-იმერეთის პოლკი, იქ სხვა სამტრედიელთა მსგავსად ირიცხებოდა ანზორიც, პოლკის მეთაური შესანიშნავი პიროვნება სოსო ჟღენტი გახლდათ, მე და ზაზა ვაშალომიძე ერთად წავედით ანზორის სანახავად. ბატონმა სოსომ შესანიშნავად, თბილად მიმიღო. მითხრა აჩიგვარას ტყვია-წამლის საწყობი მაქვს მისთვის ჩაბარებული და ვერავის ვანდობ მის გარეშეო. დამაკავშირეს ანზორთან ტელეფონით, მითხრა, დედა, აქ ყველას დედა ჰყავს, მაგრამ შენსავით ხომ არავინ იქცევა, დამშვიდდი, მე თვითონ მოვალ სახლშიო! ტირილით ვუთხარი: ანთებული სანთელი ხარ შვილო და მეშინია, ვინმემ არ ჩაგაქროს-თქო. სოსო ჟღენტი იქ ცოლთან და პატარა შვილებთან ერთად იმყოფებოდა, დიდებული პიროვნება იყო, იმ ღამეს იქ დავრჩი, მეორე დღეს შინ წამოვედი და ანზორიც შინ დაბრუნდა. არ ვუშვებდი, მეორე ბავშვი ძალიან პატარა იყო, სამი დღე დაჰყო შინ. მერე მეუბნება: მე ვერაფერი გამაჩერებს, ჩემს ბიჭებთან მივდივარო. ორი მცირეწლოვანი შვილი დატოვა, 11-ის იყო ვაჟა და წლინახევრის ნინო და წავიდა, 10 დღეს არ გაუვლია, რომ სამტრედიაში, დღისით მზისით ქუჩაში მოკლეს. იმ ტრაგიკული დღის სურათი დღემდე ვერ აღვადგინეთ, ჩემი გოგონას ქმარი და ანზორი მანქანის გასაკეთებლად იყვნენ წამოსულები სამტრედიაში, სამი ხარაგაულელი მებრძოლიც იყო თურმე მათთან ერთად, ამ დროს “მხედრიონის” ნაწილები ხონის მხრიდან შემოდიოდნენ, პანიკაში ჩავარდნილი ხალხი გარბოდა, ანზორი აწყნარებდა თურმე, ნუ გარბიხართო. რომ გაუგიათ ანზორის ვინაობა, მოსთხოვეს ჩაგვბარდიო. ანზორს წინდაწინვე ჰქონდა ნათქვამი, რომ მტერს არ ჩაბარდებოდა. ანზორი დავკრძალეთ მშობლიური სოფლის, ზემო ტოლების სასაფლაოზე, აქვე მდებარეობს ყოფილი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. მე ძალიან მადლიერი ვარ ანზორის თანამებრძოლების, მათ დაამკვიდრეს ტრადიცია და ყოველ აღდგომის მეორე დღეს გადიან მოძმეთა საფლავებზე.

მახსენდება, რა თბილი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, ნოღის ტყეში რომ იყვნენ, ბიჭებს საჭმელი არ აქვთო, გავიგე. წამოვედი, რაღაცას გამოგიგზავნით-თქო, შეეუთვალე. ჩოხატაურში უნდოდათ გადასვლა, სადაც ჩვენი, ზვიადის მომხრეების შეიარაღებული ძალები შევიდნენ, “მხედრიონელები” კი გამაგრებულნი იყვნენ ბერძნისწყაროში, ბათუმიდან უკან ვბრუნდებოდი, გზა გადაკეტილი იყო, ანზორს დავუკავშირდი ტელეფონით და ვუთხარი, შვილო, სადილი გაგიმზადე-თქო, არ მინდა დედა, მე თავად მოვალო. მითხრა. მოვიდა ბიჭებთან ერთად, ისინი გადამდგარი პრეფექტები იყვნენ, სუფრა სახლის წინ გავშალეთ, ზვიად ძიძიგურზე მიმითითა, ეს არის თქვენი პრეფექტიო.

ანზორის შესანიშნავმა მეუღლემ ორი საუკეთესო შვილი აღზარდა. ვაჟა ამჯერად არ მუშაობს, სპორტული ცხოვრებით არის დაკავებული, არის კიოკუშინკაი კარატეს წმინდა გიორგის ჯგუფის წევრი და სპორტის ამ სახეობას ახალგაზრდებს ასწავლის.

ვაჟა გოგოლაძე: “მამაჩემის ბიძამ მოგვიანებით მოძებნა და ნახა ის ხარაგაულელი ბიჭები. როგორც ამბობენ, მამა მძღოლის მარჯვენა მხარეს იჯდა, მას იარაღის ტარების უფლება ჰქონდა. ამ ბიჭებს უთქვამთ, ვიღაც ფორმიანი მისჩერებოდა და მამასთვის საბუთი მოუთხოვია. მას საბუთი მიუცია, ის კაცი ვერ უცვნია, მერე გზა ჩაგვიხერგეს და თქმა და სროლა ერთი ქნესო, ამბობენ, თუმცა, დღემდე ვერ გავარკვიეთ, ვინ და რატომ მოკლა მამა. დავიწყე მამას ძებნა, 5 დღის განმავლობაში, 18-დან 25 ოქტომბრამდე, მამა თურმე გარდაცვლილი ესვენა ქალაქის საავადმყოფოში, მიცვალებულსაც არ გვატანდნენ. მხოლოდ მერე მოგვცეს გარდაცვლილის ნეშტი, ეძებდნენ დედა, ბებია, მეზობლები, საკაცეზე ესვენა საავადმყოფოში, პროზექტურაში გვამი მოვლილი და მოწესრიგებული იყო. მოგვიანებით, ყველა უწყებაში მოვიძიე მამის საქმე, მოვიპოვე დოკუმენტები, სადაც წერია, რომ მამას ჩაუტარდა ვიზუალური დათვალიერება, პროკურატურას მივმართე კითხვით და მაქვს დასკვნაც, რომ ზევიდან ქვევით კისერში მიბჯენით არის გამჭოლი ჭრილობა. ეს არის და ეს...

_ თქვენს ხსოვნაში როგორ შემორჩა მამა?

_ მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, ძიუდოზე შემიყვანა, მაგრამ მისი გარდაცვალების მერე ამ სპორტს ჩამოვშორდი, ის უპირატესად მოზარდის სულიერ აღზრდას მიიჩნევდა. მამა სულ გზაში გაბმული, მოსიარულე და საქმეებით დატვირთული მახსოვს. 1989 წლის 9 აპრილის ღამეს დედა, მამა და ჩემი პატარა და ერთად იყვნენ, ბავშვს ჩასძინებია და სახლში წამოიყვანეს. ამ შემთხვევის წყალობით გადაურჩნენ სიკვდილს.

... ''იმ მომავლის მზეს დავიცავ''

ნათია ნაცვლიშვილი

გალაკტიონის ამ უკვდავი ფრაზით წერილს შევნებულად ვიწყებთ. მეოთხე საჯარო სკოლის მეოთხეკლასელების საოცრად ემოციურ, პატრიოტულ და მუხტიან ღონისძიებაზე უნდა გიამბოთ. დიახ, ეს შედევრები არ იწერება მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვებმა ისინი მაღალმხატვრული პათოსით წაიკითხონ. ეს სენტენციები და ღირებულებები მომავალმა თაობამ სკოლიდანვე უნდა გაითავისოს. ამის ბრწყინვალე დადასტურება პედაგოგ შორენა თევზაძის და მისი მოსწავლეების ღონისძიება იყო.

ბავშვებმა შესანიშნავი მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინეს. მუხრანის უკვდავი ლექსით ''ვითარცა მტკვარი'' გაიხსნა ღონისძიება. ''ჰე საქართველოვ, მომიხმარე, იქნებ ვივარგო, შენი მსახური, ერმა და მონა ერთად ვიქნები!'' _ წარბშეკრული ვაჟკაცი ლექსით პირობას დებს სამშობლოს წინაშე. ''ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გიამბობს ჭადარი'', _ ანას ლექსით ესათუთება სამშობლოს მეორე ვაჟკაცი. ეს ''თვალ-ტანადი ქალ-ვაჟები'' მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ანსამბლში ცეკვავენ და მღერიან, ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრას დომენტი შანიძის სახელობის მუსიკალურ სკოლაში სწავლობენ, ამიტომაც სკოლის ღონისძიებისათვის ეს ბავშვები საუკეთესო რესურსია, ''შაირ-კაფიაც ამოთქვეს'', ცეკვები ''აჭარული, ''ქართული'', ''ყაზბეგური'', ''სამაია'' და ''ლეზგინკა'' იცეკვეს და მაყურებელი აღაფრთოვანეს. მათ არწივულ შემართებას და ენერგიულ ცეკვებს სკოლის მცირე დარბაზი აშკარად არ ყოფნის, პატარებს მეტი სივრცე სჭირდებათ. შთამბეჭდავად გააცოცხლეს სიცოცხლეში დაუფასებელი ნიკო ფიროსმანი, ნიკალა ფუნჯით იქვე იჯდა, მოლბერტთთან, აქტრისა მარგარიტაც აქ არის, პატარები სიმღერებსაც მღერიან, ლადო ასათიანის უკვდავი ლექსებით დახატეს პორტრეტი მხატვრის, რომლის გენიალურობაც მისი სიკვდილის შემდეგ გამოვლინდა. ''თვითრჯული იყო, აუმღვრია სისხლი

თბილისმა, სულ მარტო იყო, მარტო სვამდა, მარტო გათავდა, ფუნჯის მოსმის დროს ქონდა რაღაც ჯადო თილისმა, არაყს დალევდა და ქვეყანას დაგიხატავდა''. ამ ბრწყინვალე კომპოზიციის შემდეგ ძალზე ემოციური ნომერი შემოგვთავაზეს. ''ჰერიო ბიჭებოს'' ფონზე მოსწავლეებმა გალაკტიონის ''შშობლიურო ჩემო მიწავ'' წაიკითხეს, მერე სათითაოდ მივიდნენ ეროვნულ დროშასთან, ეამბორნენ მას და მუხლი მოუდრიკეს. ამ სანახაობამ დარბაზში არაერთს მოჰგვარა ცრემლი.

აბა, ოთხწლიან ეტაპს საკლასო ცხოვრებისას ისე როგორ დაასრულებდნენ, საყვარელი პედაგოგებისათვის არ ეთქვათ მადლობა! დაჰპირდნენ პედაგოგებს ბავშვები, რომ მათ დარიგებებს ცხოვრების საძირკვლად აქცევდნენ. შორენა მასწავლებელი საცეკვაოდ იხმო ერთ-ერთმა მოსწავლემ, ეს დაუგეგმავი, ექსპრომტად მომზადებული ნომერი იყო, ამავე მოსწავლის ძალიან თბილი წერილი კი მასწავლებელმა საჯაროდ წაიკითხა. პედაგოგი თავადაც ლექსით დაემშვიდობა საყვარელ მოსწავლეებს: ''დიახ, შენა ხარ, საქართველოდან, გენიოსთა და გმირთა ქვეყნიდან''. _ მიმართა თავის აღსაზრდელებს და ქართული ღირებულებების, ტრადიციების, კულტურის ერთგულებისკენ მოუწოდა.

პედაგოგი ხათუნა ხუჭუა ამ ბავშვებს ინგლისურს ასწავლის, სწორედ მისი შრომის შედეგი იყო პატარების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი სახალისო სკეტჩები. ბავშვები ლაღად და თავდაჯერებულად საუბრობენ უცხო ენაზე.

სკოლის დირექტორი ნუგზარ კუცია: ''პირველი ეტაპი წარმატებულად დასრულეთ, გისურვებთ სხვა ეტაპებიც წარმატებულად დაგესრულებინოთ, დღეს შესანიშნავად წარმოაჩინეთ თქვენი უნარი და შესაძლებლობები მწამს, თქვენი სახით ნიჭიერი თაობა ეზრდება ქვეყანას, დიდი მადლობა ქალბატონ შორენას საინტერესო ღონისძიება რომ მოამზადა, მადლობა თითოეულ თქვენგანს, მშობლებს, სტუმრებს, ბევრჯერ გამეგოს თქვენი წარმატებების შესახებ''.

დაწყებითი კლასების კათედრის გამგემ ხათუნა ლორიამ კათედრის ხელმძღვანელობის სახელით საგანგებო დიპლომით დაასაჩუქრა კლასის გამორჩეული მოსწავლე მირზა შანიძე. ''დიპლომი გადაეცემა სასწავლო ოლიმპიადებში მრავალგზის გამარჯვებულს, სკოლისა და სამტრედიის სიამაყეს, მირზა უნიჭიერესია, სიტყვები არ მყოფნის მის დასახასიათებლად, გილოცავთ შორენა მასწავლებელო მის წარმატებას თქვენ, მის დედას, გილოცავთ ბავშვებო, თქვენ არაჩვეულებრივები იყავით!'' _ განაცხადა პედაგოგმა. ზაფხულის სეზონზე ზედიზედ სამჯერ მოიპოვა (ორჯერ ინგლისური და ერთხელ ქართული ენის ოლიმპიადებზე) მირზამ გამარჯვება. ქართულში გამარჯვებულ ხუთეულში მოხვდა. მოიპოვა ანაკლიისა და ქობულეთის ბანაკებში დასვენების უფლება. დაჯილდოვებაზე მიწვეულია შავი ზღვის უნივერსიტეტში.

სასწავლო ნაწილის გამგე, ირმა ზარნაძე:

''ლაკონურად ვიტყვი, აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი არასოდეს იქნება''.

ლაბლოვ გომელან ლანსხოლი ცამშობლოთ

ნინო ნანიტაშვილი

თამამად შეიძლება ითქვას: ამ ეზოს შემხედვარეს, სურვილი არ გაუჩნდება ბავშვი სხვა რომელიმე საბავშვო ბაღში წაიყვანოს. პირიქით, დაბლა გომის სკოლამდელ დაწესებულებაში მშობლებს თაოს სულ პირველად 2011 წელს ეზოს ერთი კუთხე მიუჩინეს. მაშინ ზოოლოგიური მუზეუმი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა''. თუმცა დაბლა გომელ პატარებს დღესაც ნათელი წარმოდგენა ექმნებათ პარკზე, რომელიც საქართველოს ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა პატარებმა საქართველოს სიყვარულს პატრიოტულ თემებზე დაწერილი ცნობილი პოეტების ლექსები მიუძღვნეს. რას ნიშნავს სამშობლო, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით ეს თემა ინსცენირების სახით წარმოადგინეს. მუსიკის პედაგოგ ეკა კაპანაძის დაუღალავი შრომის შედეგია ის, რომ დაბლა გომის საბავშვო ბაღის აღსაზდელებმა გამოსაშვებ საღამოზე სტუმრებს ლამაზად დადგმული მუსიკალური ნომრები აჩვენეს. მუსიკალური ნომრების პარალელურად აღმზრდელი ლილი თევზაძე შიგადაშიგ სკოლისაკენ მიმავალი პატარების ცოდნის დემონსტრირებას ახდენდა. კითხვა-პასუხის რეჟიმში დაბლა გომელმა აღსაზრდელებმა ცოდნა გამოავლინეს საქართველოს კუთხეების, წელიწადის დროების, მეფეების, ''დედა-ენის ავტორის'', ქრისტიანობის შემოღების შესახებ. ბავშვებმა საქართველოს 100 წლის იუბილეს მიუძღვნეს ინსცენირება. მოგვიანებით ისინი პატარა კულინარებად მოგვევლინენ და საქართველოს ყველა კუთხისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა გულსართით დამზადებული ხაჭაპურები წარმოგვიდგინეს.

ვიანთი შვილები დაფნარიდან, მთის ძირიდან და კორმაღლიდანაც დაჰყავთ.

სოფიო გოგიშვილის საბავშვო ბაღში პატარები კიდევ იმ ეშხით მიდიან, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ეს ერთადერთი საბავშვო ბაღია, სადაც ზოოპარკი აქვთ მოწყობილი. ცხოველთა და ფრინველთა სამყაროში თითზე ჩამოსათვლელია. გალიებში ჩასმული რამდენიმე ცოცხალი, რამდენიმეც სთამაშო ფრინველისა და ცხოველის ნახვა არა მარტო პატარებს, უფროსებსაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

22 ივნისს დაბლა გომის საბავშვო ბაღში დიდი სტუმრიანობა იყო. ადმინისტრაციამ ამ დღეს მთელი წლის მანძილზე შესწავლილი შეაჯამა, საიდანაც საქართველოს თემა გამოირჩა და მიეძღვნა სასკოლო ჯგუფის აღსაზრდელების გაცილებას.

გამოსაშვები საღამო გახსნა აღმზრდელმა ლილი თევზაძემ. მან სტუმრებს მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა და თავის აღსაზრდელებს მოუწოდა, მშობლებისა და საგანგებოდ მოწვეული მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე იმ უნარ-ჩვევებით გამოსულიყვნენ, რაც მათ დაბლა გომის საბავშვო ბაღში შეიძინეს.

გამოსაშვები საღამოს ბოლოს დაბლა გომის საბავშვო ბაღის მმართველმა სოფიო გოგიშვილმა სკოლისაკენ მიმავალ პატარებს გზა დაულოცა და საუკეთესო მომავალი უსურვა.

ღია საანგარიშო კონცერტები ჩატარდა

ნინო ნანიტაშვილი

ღია საანგარიშო-აკადემიური კონცერტები ჩატარდა კულაშისა და ტოლების სამუსიკო სკოლებში. მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური მუსიკალური ნომრები, რომლებიც ანსამბლებმა ხალხური საკრავების თანხლებით შეასრულეს. დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის ვაჟთა კვარტეტის მიერ საანგარიშო კონცერტზე შესრულდა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

შესრულდა აგრეთვე საგუნდო ნომრები. კულაშისა და ტოლების სამუსიკო სკოლებს იმ დღეს სტუმრობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია, მერის მოადგილე, დავით ბახტაძე და მერიის კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე.

''სამტრედიის მაცნეს'' საანგარიშო-აკადემიური კონცერტების შესახებ ესაუბრა დარგის კურატორი, დავით ბახტაძე: ''მსგავსი კულტურული ღონისძიებები წელიწადში ორჯერ, საახალწლოდ და სასწავლო წლის ბოლოს იმართება. ვცდილობთ, ყოველთვის დავესწროთ და შევუფასოთ სკოლებს მთელი წლის ნამუშევარი. კულაშსა და ტოლებში მოსწავლეებმა სანიმუშოდ დაუკრეს. აქედან ნათლად ჩანს, რომ სამუსიკო სკოლები წარმატებით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ხდება ხელოვნებისთვის არაჩვეულებრივ სამყაროსთან ბავშვების დაახლოება, რაც მომავალი თაობის საზოგადოების ინტელექტუალურ წევრებად ჩამოყალიბების საწინდარია. მადლობას ვუხდით სამუსიკო სკოლების დირექტორებს, ადმინისტრაციას, პედაგოგებს მოსწავლეებს და მათ მშობლებს. ახალგაზრდებს ვუსურვებთ ცხოვრების გზაზე თამამად სიარულს, სწავლას, განვითარებას მათივე კეთილდღეობისა და სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის''.

''საოცნებო მოგზაურობა საოცნებო ტრანსპორტით''

მე-9 ბაღმა სკოლისაკენ მიმავალი გზა წელს 28 აღსაზრდელს დაულოცა. 28 ივნისს ბაგა-ბაღის საკონცერტო დარბაზში თემატური პროექტის პრეზენტაცია შედგა სათაურით: ''საოცნებო მოგზაურობა საოცნებო ტრანსპორტით''. იმისათვის, რომ გამოსაშვები საღამო ყოფილიყო სახალხო, საინტერესო და ამასთანავე დაუვიწყარი, როგორც პატარებისათვის, ასევე დედებისათვის, ბაგა-ბაღის მეთოდურმა სამსახურმა გადაწყვიტა, თემა სასკოლო მზაობის პროგრამიდან წარმოედგინა. ყურადღება ტრანსპორტზე შეაჩერეს. შეთავაზებულმა პროექტმა პატარების მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ზაფხული მოგზაურობისთვის ყველაზე ხელსაყრელი დროა. პატარებმა სიმბოლურად მიმართეს ტერიტორიულ სააგენტოს და ცოტა ხანში სამტრედია-კოპიტნარის აეროპორტიდან ფრენა განხორციელდა აჭარაში, სადაც უკვე მოგზაურებმა გემზე გადაინაცვლეს, კაპიტნის ბრძანებით გემბანი ზღვაში გასასვლელად გაემზადა.

მე-9 ბაგა-ბაღელებმა მატარებლით ფოთი-ზუგდიდის მაგისტრალზე გააგრძელეს მარშრუტი და ენგურის ხიდს მიუახლოვდნენ. სწორედ აქ დამთავრდა პატარების საოცნებო მოგზაურობა. ენგურის ხიდის მეორე მხრიდან მოსულ მეგობრებს სამტრედიელი პატარები სიმღერით ''აფხაზი ვარ'' შეეგებნენ.

ენგურის ხიდს რომ მომავალში უპრობლემოდ გადააბიჯებენ, ამ იმედითა და რწმენით დასრულდა ''საოცნებო მოგზაურობა საოცნებო ტრანსპორტით''. უნდა აღინიშნოს ის, რომ თითოეული ტრანსპორტით გადაადგილებას თან ახლდა ცნობილი ქართული სიმღერებისა და ცეკვების სინქრონი.

გამოსაშვები საღამოს მეორე ნაწილი საკონცერტო ნომრების შესრულებას დაეთმო. არაერთი დახვეწილი სიმღერა და ცეკვა შესრულდა, რომლის მომზადებაში მთავარი წვლილი შეიტანეს ჯგუფის პედაგოგებმა ხათუნა შენგელიამ, ინგა სოსიაშვილმა, ნინო თევზაძემ, მუსიკის პედაგოგმა ქეთევან რამინაშვილმა. ღონისძიებას ეტყობოდა კვალიფიციური მეთოდისტის, მანანა გოდუაძის შემოქმედებითი უნარები, არაერთი ასეთი საინტერესო ღონისძიებებით წარმოუჩენია მე-9 ბაგა-ბაღი მმართველს ნანა უგულავას.

კონცერტის ბოლოს, პედაგოგმა ხათუნა შენგელიამ ბავშვებს სამახსოვრო ალბომებთან ერთად საბავშვო ბაღის დამთავრების სასკოლო პროგრამის მზაობის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცა.

ნინო ნანიტაშვილი

სკოლას ფილიმონ ქორიძის სახელი მიენიჭება

21 მაისს ღია აკადემიური კონცერტი გაიმართა სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლაში (დირექტორი ნანა ქანთარია). მსმენელთან ეს ყოველწლიური შეხვედრა შეფასების მიღების საშუალებას აძლევს მასწავლებლებსა და მოწაფეებს, აჯამებს მათ მუშაობას. მოწვეული მშობლები, სახელოვნებო წრეების წარმომადგენლები, ადგილობრივი ხელისუფლების პირები, ერთი სტუმართაგანის შემჩნევისა არ იყოს, ყოველ ჯერზე ადევნებენ თვალს, თუ ნელ-ნელა როგორ იქცევა გაუბედავი, მფრთხალი თითები ოსტატურ და მოქნილ ''ზელის რტოებად'' (სულხან-საბას მეტაფორით).

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობა იდეალურ მდგომარეობაში არ არის და უამინდობის დროს წვიმის წყლისა თუ ქარისაგან სრულყოფილად ვერ იცავს მასში მყოფთ, შეიძლება ითქვას, პედაგოგები ენერგიას არ იშურებენ ნიჭიერი მომავალი თაობის ხელშესაწყობად.

ამჯერადაც მრავალფეროვანი იყო საკონცერტო პროგრამა. ბეთჰოვენი, ვერდი, გრიგი, გერშვინი, ლენონი, ცაბაძე, ყანჩელი... გულმოდგინედ ცდილობდნენ ამ და სხვა ბევრი კომპოზიტორის ნაწარმოებების მაღალხარისხოვნად შესრულებას ნანა ქანთარიას, მარინა ახობაძის, ნათია ტალაბაძის, ლელა ბოხუას, ლელა გოლიაძის, ცირა კიკაჩეიშვილის, ლელა ჯოგლიძის, ფიქრია ცოტაძის, დემურ სულაბერიძის მოსწავლეები.

საინტერესო რეპერტუარმა და №2 სამუსიკო სკოლის მასპინძელთა მონდომებამ - ამომწურავად ეჩვენებინათ თავიანთი საქმიანობის შედეგი, დამსწრეების აპლოდისმენტი დაიმსახურა.

''დღეს ნათლად დავინახეთ მასწავლებლების პროფესიონალიზმის დონე და მომავალი მუსიკოსების დაუზარებლობა. გპირდებით, ვიზრუნებთ ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებისათვის. არსებობს კონკრეტული მიზეზები, რომელთა გამო სამუშაოს წარმართვა ფერხდება, მაგრამ გამოსავლის პოვნა ხელს შეგვიწყობს, მიზანს მივაღწიოთ - სკოლას აუცილებლად ექნება კეთილმოწყობილი ინტერიერი.'' - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა კონცერტის შეფასების შემდეგ აცნობა აუდიტორიას, რომ სულ მალე სახელდების საკითხებზე მომუშავე კომისია დააკმაყოფილებს ცოტა ხნის წინ მისთვის წარდგენილ განცხადებას და №2 სამუსიკო სკოლას ფილიმონ ქორიძის სახელი მიენიჭება.

შოთა პაპავა

პედაგოგ გულო ბოხუას გამოსაშვები საღამო

ნინო ნანიტაშვილი

ქალაქის მეოთხე ბაგა-ბაღმა სააღმზრდელო წლის ბოლოს 5 სასკოლო ასაკობრივი ჯგუფიდან 150 პატარას სკოლისაკენ მიმავალი გზა დაულოცა. აღმზრდელებმა მაკა ჯანელიძემ, ნინო რუხაძემ, მარინა კაკაბაძემ, ნანა ლეკვეიშვილმა თავიანთი გამოშვებებით 26 ივნისს კიდევ ერთი ოქროს ფურცელი ჩაწერეს მე-4 ბაგა-ბაღის ისტორიაში. ბოლო აქტივობით სკოლამდელი განათლების პირველი ეტაპი დასრულდა მე-4 ბაგა-ბაღში.

5-6 წლიანთა ჯგუფის პედაგოგმა გულო ბოხუამ თავისი აღსაზრდელების სკოლისათვის მზაობა ფართო საზოგადოების წინაშე კიდევ ერთხელ წარმოაჩინა. მისასალმებელ სიტყვაში თითოეულ მათგანს ბედნიერი და წარმატებული მომავალი უსურვა.

მე-4 ბაგა-ბაღში სააღმზრდელო პროცესი წარმატებით რომ მიმდინარეობს, ამის დასტური გახლავთ პროექტები, რომლებიც წლის მანძილზე ამ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მეთოდისტების, მარინა ბაღდავაძისა და მარინა ქოჩოვის ჩართულობა რამდენჯერმე განხორციელდა. ზეიმის მსვლელობისას პედაგოგების თანაშემწეებმა ლელა შარიაშვილმა, მაცაცო რობაქიძემ ცეკვებისა და მხატვრული კომპოზიციების დახვეწილი ნომრები აჩვენეს. ღონისძიებას უხდებოდა პატრიოტულ თემებზე წაკითხული ლექსები, ინსცენირებები, სადაც პატარები მაქსიმალურად ამჟღავნებდნენ სკოლისათვის სასკოლო მომზადების დონეს და იქვე გულმხურვალე მადლობას უხდიდნენ მშობლიური ბაღის მესვეურებს.

ყველა ჯგუფის ღონისძიება გაალამაზა და სკოლისაკენ მიმავალი გზა საკუთარ ლექსზე შერწყმული სიმღერით მიულოცა მე-4 ბაგა-ბაღის მმართველმა ნანა დუნდუამ, რომელიც ამ წლების განმავლობაში მათ მიმართ სითბოს, სიყვარულს და მზრუნველობას არ იშურებდა.

პატარებთან ერთად გამოსაშვები საღამოს სიხარული და ბედნიერება გაიზიარეს მშობლებმა, საპატიო სტუმართა შორის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ზეიმის ბოლოს სცენაზე ფეიერვერკები აინთო, 6 წლიანთა ჯგუფის პედაგოგმა გულო ბოხუამ თავის აღსაზრდელებს მე-4 ბაგა-ბაღის დამთავრების სერტიფიკატები საზეიმო ვითარებაში გადასცა.

კაცი იყო, კაცად დარჩა

წარუშლელი კვალი დატოვა სამტრედიის ისტორიაში საქართველოს დამსახურებულმა ინჟინერმა, სამტრედიის ჩაი-მექანიკური ქარხნის ლეგენდარულმა დირექტორმა ბატონმა შალვა ბესარიონის ძე გოგავამ.

ბატონი შალვა მრავალი წლის მანძილზე გახლდათ ამ ქარხნის დირექტორი.

მარტო ზემოდან მითითებული საწარმოო გეგმების შესრულებით არ შემოიფარგლებოდა მისი, როგორც დირექტორის საქმიანობა.

საშუალო და უფროსი თაობის სამტრედიელებს და არა მარტო მათ, ახსოვთ ქარხნის ეზოში მოწყობილი ნამდვილი ოაზისი.

აუზში გედები დასრიალებდნენ, გალიიდან კი მურა დათვი დათვურადვე იცქირებოდა.

საზოგადოებრივად საოცრად აქტიურმა კაცმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა საღი გონება, აზროვნება.

ბატონი შალვა ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და მეგობარი იყო.

ერთ დროს, როცა გაზეთს "პერსპექტიული პოლიტიკოსები" დახურვას უპირებდნენ, ბატონმა შალვამ და ინტელიგენციის სხვა ღირსეულმა წარმომადგენლებმა აღიმაღლეს ხმა...

მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან მეგობრობდა თხემით ტერფამდე თავად ინტელიგენტი კაცი. ნათქვამის გასამყარებლად გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, **ბატონ რომან ბექაიას** მიერ გადაღებული ეს ფოტოც გამოდგება, რომელზედაც საქართველოს სახალხო არტისტის, სერგო ზაქარიაძის სტუმრობა და ბატონ შალვა გოგავასთან მისი შეხვედრაა აღბეჭდილი ჩაი-მექანიკურ ქარხანაში.

105 წლის გახდებოდა ამ დღეებში ბატონი შალვა გოგავა.

ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული.

ლევან გაბეჩავა

აჩიკო შენგელიას გახსენება

თავზარდამცემი იყო შენი მოულოდნელი გარდაცვალება ჩვენო აჩიკო, არა მარტო შენი ოჯახისათვის, არამედ ახლობლებისა და იმ ადამიანებისათვის, ვის მხარდამხარაც წლების მანძილზე მუშაობდი.

დღესაც ვერ ვაცნობიერებთ მწარე რეალობას.

ბრწყინვალე ოჯახის წინამძღოლი, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული კვალიფიციური ტოპოგრაფი, ქართული კულტურის, ტრადიციების, მეგობრობის, ძმობის მცოდნე და დამფასებელი. ასეთი იყავი, ასე გვემახსოვრები.

40 დღე გავიდა შენი არყოფნიდან, ნათელში დაავანოს უფალმა შენი სული.

გულისტკივილით სამშობლოს ვირების ოჯახმორწმენი

ყოფილი რკინიგზის სამტრედიის 24-ე საშუალო სკოლის 1958-1959 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები დიდი გულისტკივილით იუწყებიან ღირსეული ქალბატონის, მეუღლის, დედის, ბებიისა და საუკეთესო მეგობრის

იამზე გაგუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ჭირისუფლებს.

მზევინარ, რამიზო და აჩიკო ფანცულაიები ოჯახით თანაუგრძნობენ მარინა შენგელიას ოჯახს დიდებული ქალბატონის, შესანიშნავი დედის, ბებიის ქალბატონი

ქეთევან შენგელიას

გარდაცვალების გამო.

მან აღასრულა თავისი ვალი

ვადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დაბა კულაშის აწ უკვე ყოფილი ზოოვეტერინარული და დიდი ჯიხაიშის ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები ჩვენი რაიონის საგზიტო ბარათს წარმოადგენდნენ. საქართველოს ამერ-იმერიდან ჩამოდიოდნენ ამ სასწავლებლებში მაშინ ქვეყნისათვის მეტად საჭირო და პრესტიჟულ პროფესიათა დასაუფლებლად ახალგაზრდები.

კულაშის ზოოვეტტექნიკუმი თავის დროზე ადგილობრივ თავად მიქელაძეთა მამულში გაიხსნა, რა თქმა უნდა, პატივაყრილი და უფლებაწართმეული თავადი ვლადიმერ მიქელაძე და მისი ოჯახი ამ გადაწყვეტილებას სიხარულით არ შეგებებიან, მაგრამ, თურმე, თავადს ერთგვარად სიამოვნებდა ის გარემოება, რომ მის ყოფილ მამულში ახალგაზრდების ურიამული, ყიჟინა იქნებოდა.

...

ამჯერად იმ დამაშვრალი კაცის შესახებ გვსურს საუბარი, ამ სასწავლებლის საყოველთაო ცნობადობას რომ შეუწყო ხელი და მთელი შეგნებული ცხოვრება მოახმარა ტექნიკუმის ზრდა-განვითარებას.

ბატონი გიორგი ნესტორის ძე ჩხეიძე 1908 წელს სოფელ დიდ ჯიხაიშში დაიბადა.

ერევნის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა დროს მუშაობდა ზოოტექნიკოსად, ოჩამჩირის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილედ.

1940 წლიდან 35 წლის მანძილზე ბატონი გიორგი კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის დირექტორი იყო. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გადაიქცა სასწავლებელი ერთ-ერთ მოწინავე საგანამანათლებლო კერად, კადრების სამჭედლოდ არა მარტო საქართველოს, არამედ ყოფილი კავშირის მასშტაბით.

სასწავლო, ადმინისტრაციული, სტუდენტთა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, ეზოს კეთილმოწყობა, კაბინეტ-ლაბორატორიების აღჭურვა, სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდებისათვის სწავლისა და გონივრული გართობისათვის სათანადო პირობების შექმნა... საქმე უამრავი ჰქონდა დირექტორს, იშვიათად თუ ნახავდა ვინმე მოცლილს. _ იხსენებენ მისი თანამედროვენი.

ლამის საუკუნის ტოლი რაიონული გაზეთის უკვე ისტორიად ქცეული ფურცლები ინახავენ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, იოსებ სტალინის, მიერ გამოგზავნილ მადლობის ბარათს, რომლის ადრესატებიც კულაშის ზოოვეტერინარული და დიდი ჯიხაიშის საყრდენ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების დირექტორები ბატონები გიორგი ჩხეიძე და პოლიკარპე მიქაძე, ამ სასწავლებელთა პედაგოგები და მოსწავლეები არიან, რომლთაც თავდაცვის ფონდში ერთი თვის ხელფასები და ერთი თვის სტიპენდიები გადაურიცხავთ.

შორს წაგვიყვანს იმ სახელოვან, ღირსეულ ადამიანთა, თუნდაც, გვარ-სახელების ჩამოთვლა, რომელთაც კულაშის ზოოვეტტექნიკუმი დაამთავრეს და შორს გაითქვეს სახელი.

ამაოდ როდი აღვნიშნეთ სამტრედიის სავზიტო ბარათი იყო ეს სასწავლებელი-თქო.

სამწუხაროა და სავალალო, რომ ბატონი გიორგისა და მისი თანამოაზრეების, შემდეგი თაობების მიერ ნალოლიავები უიშვიათესი ეზო სასწავლებლისა დღეს საქონლის სათარეშოდაა გამხდარი...

არსაიდან ხსნა, არსით საშველი...

ჩანაგდება ულამაზესი გარემო, მცენარეები ან ხმება, ან ჭრიან. ერთი სიტყვით, აქ ისეთი ვითარებაა, მტერს რომ გაახარებს, მოყვარეს კი სინანულის ცრემლებს მოჰგვრის.

ბედნიერებაა (თუ ბედნიერება შეიძლება ეწოდოს ყოველივეს), რომ ბატონი გიორგი ვერ მოესწრო მისი ოფლით შექმნილის გაჩანაგებას.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის გიორგი ჩხეიძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული პედაგოგის საპატიო წოდება, დაჯილდოვებული იყო სამთავრობო ორდენებითა და სიგელებით, თუმცა, როგორც ყოველი პედაგოგისათვის, მისთვისაც ყველა ჯილდოზე მეტად აღმატებული იყო ის დიდი ავტორიტეტი, დაფასება და სიყვარული, რითაც სიცოცხლეშივე იყო გარემოსილი მასწავლებლებისგან თუ ყოფილი მოსწავლეებისგან, საზოგადოებისაგან.

1992 წელს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა ბატონი გიორგი.

ამ დღეებში 110 წელი სრულდება მისი დაბადებიდან.

ლევან გაბეჩავა

ჯონი ჯოჯუას გახსენება

არიან ადამიანები, რომელთა გარდაცვალებაც საყოველთაო მწუხარებას იწვევს, მათ შორისა ხარ შენც.

წელი გავიდა უშენოდ, ჩვენო ჯონი, თუმცა არ გივიწყებენ სამტრედიაში, გვახსოვხარ მეგობრებს, იმ ადამიანებს, ვის მხარდამხარაც წლების მანძილზე მუშაობდი.

სევდით გიგონებთ ჩინებული ოჯახის ღირსეულ თავკაცს, კარგ მეგობარსა და ადამიანს.

ნათელი შენს საფლავს.

ბეჭან გოგია

წელი გავიდა უთქვენოდ
ვენერა კაჭახიძის გახსნება

ჩვენზე ბევრად უფროსი იყავით, სწორედ თქვენ და თქვენი თაობის ღირსეულმა წარმომადგენლებმა შეგვაყვარეს ახალბედა პედაგოგებს სკოლა და ბავშვები.

საქართველოს დედა უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას უშურველად გადასცემდით ბავშვებს, თქვენს საყვარელ მოსწავლეებს, საოცარი სითბოთი და პატივით რომ გიხსენებენ.

დიდხანს, დიდხანს ერთად ვიმუშავეთ ჩვენს საყვარელ ყაზბეგის სკოლაში, დაუვიწყარია ის წლები, მეგობრულად შეკრული, ყველა თაობისაგან შემდგარი გუნდი. ბევრი, ბევრი რომ ვისწავლეთ თქვენგან. სხვა თემაა ჩვენი ოჯახების ურთიერთობა.

ღირსეული პედაგოგი, ყველასათვის ერთნაირად საყვარელი ქალბატონი ერთი წლის წინ სევდით, ალალი ცრემლით გაგაცილეთ უკანასკნელ გზაზე.

არასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენო ძვირფასო ადამიანო.

ნათელში იყავით!

ლევან გაბეჩავა, მურად გელეიშვილი

ქალბატონო ზოია!

გულითადად მოგესალმებით ჩვენს საუკეთესო მეგობარს, შემოქმედს, ღირსეულ თანამემამულეს, დიდ ჯიხაიშელს!.

ვამაყობთ, რომ ჩვენი მეგობარი პოეტი ზოია ვაშაკიძე მკითხველს გულის კარნახით დაწერილ სტრიქონებს სთავაზობს, განიცდის თავად და სხვასაც განაცდევინებს ქვეყნის ტკივილს და სიხარულს, სამშობლოს სიყვარულით სუნთქავს და ტკბება. ეს ხომ პოეტის განსაკუთრებული ღირსებაა.

ჩვენო ზოია, ყველაფერი უბრალოდ დაიწყო... პირველი ლექსი... შემდეგ მეორე... განცდები, შთაბეჭდილებები, პირველი წიგნის გამოცემის სულმოუთქმელი მოლოდინი, მუზათა სახლთან ახლოს ყოფნის დაუშრეტელი სურვილი და ახდენილი ოცნება, ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, წარმატებით შემდგარი სამწერლო დებიუტი, შემოქმედებითი გზა, რომლის მსახურებაში განვლე ცხოვრების ურთულესი წლები.

გვახარებს, რომ იუბილარი პოეტი 20-მდე კრებულის ავტორია, მათ შორისაა ერთტომეული, ახლახან, საიუბილეოდ გამოცემული სამი ახალი პოეტური კრებული. მისი ლექსები ხშირად ქვეყნდება "ლიტერატურულ საქართველოსა" და სხვა ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში. "სამტრედიის მაცნეს" მკითხველი სიყვარულით ეცნობა მის ახალ შემოქმედებით შედეგებს. განსაკუთრებით გაითვისა მკითხველმა "ხატის წინ ნათქვამი" ლექსების კრებული. ბავშვების ინტერესი არ მოჰკლებია მის საბავშვო ლექსებს.

"აქ ყველა სიტყვა ჩემი გულია" ამბობს ქალბატონი ზოია ერთ-ერთ ლექსში და ამ სიტყვების სიწრფელეს ამტკიცებს მისი შემოქმედება. "ვერ ვასწავლი ჩემს შვილებს სხვა ენაზე რუსთაველს" - მთელი გულით აცხადებს ახალი კრებულის "მე ქართული საქართველო მინდას" ავტორი.

როგორც თავად ამბობს, ხშირად "დამშრალია სიხარულის ღელე", ფიქრებშიც წუხს და სტკივა.

"წვიმით სავსე ღრუბელივით
მძიმეა ფიქრი,
ნურაფერს მკითხავთ".

მაგრამ სულით მებრძოლ, გულმოწყალე და ირგვლივ მყოფთა სიყვარულში დახარჯული პოეტი გულღიად ყველას გვეხმიანება:

"იმდენ მზეს ვხედავ,
რამდენიც თქვენ ხართ -
ვინც მე მიყვარხართ".

დიახ, ეს სიყვარული ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის. სამამულო ომში დაღუპული მამის მიერ დარგული ვაზის ძირში წაკითხული ლექსების განუმეორებელი სურნელი მის მეგობრებს დღემდე მოგვყვება იუბილარი მეგობარი პოეტის, ქალბატონი ზოია ვაშაკიძის, არაჩვეულებრივ ქალურ ღირსებებთან და ერთგულ მეგობრულ თვისებებთან ერთად.

დიდი ოჯახის დიდებული დიასახლისი, იმერული სამზარეულოს დიდოსტატი დიდი ჯიხაიშიდან - ასე შეგამკობთ ძვირფასო მეგობარო. დაე, დიდხანს ატკბობდეს შენს მეგობრებს, მშობლიურ კუთხეს და სრულიად საქართველოს შენი უკვდავი პოეტური სტრიქონები!

შენს ხანდაზმულ მეგობრებს კი ისევ შენი სტრიქონები გვკვებავს და გვაიმედებს.

"ახლა ჩვენ ისეთ ასაკში ვართ
გულო ბატონო,
კი უნდა შევძლოთ ამ ტკივილებს
რომ ვუპატრონოთ,
ახლა ჩვენ ისეთ გზაზე ვდგავართ,
გულო ბატონო.
არ შეიძლება ერთმანეთი
რომ მივატოვოთ".

მრავალჟამიერ, ქალბატონო ზოია.

ნათელა გელეიშვილი, გულიკო კალანდაძე, თამაზ მიქაძე

ზოია ვაშაკიძე 80 წლისაა!

ჩვენს ღირსეულ თანამემამულეს, საქართველოს მწერალთა კავშირისა და მაყვალა მრევლიშვილის პრემიების ლაურეატს, ქრისტიანული პოეზიის მე-4 და მე-7 ფესტივალების "წმინდა ნინოს" ჯვრის მთავარი პრიზისა და მედლის მფლობელს, პოეტ ქალბატონს, ზოია ვაშაკიძეს, 2 ივლისს 80 წელი უსრულდება, შემოქმედებითი ძიებებით დატვირთული საიუბილეო წელი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირში 17:00 საათზე დაგეგმილია პოეტის საიუბილეო საღამო.

გაზეთი "სამტრედიის მაცნე" თავის ერთგულ მკითხველთან ერთად ულოცავს ქალბატონ ზოიას საიუბილეო თარიღს. უსურვებს ჯანმრთელობას, მხნეობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს!

ზოია ვაშაკიძეს!

გულით გილოცავ 80 წლის იუბილეს. გისურვებ ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს. ვიტოვებ სურვილს, რომ კვლავ გაგვახარებ შენი დიდებული შემოქმედებით. უფალი ლოცავდეს შენს ლამაზ ოჯახს!

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ბორის ფოცხვერაშვილი

ქალბატონ ნათელა გელეიშვილს!

პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, ღირსეულ ქალბატონს, სამტრედიის კოლორიტს. დიდხანს ამშვენებდეთ ჩვენს ქალაქს ესოდენ შემართებით. წელთა სიმრავლეს და ულევ ბედნიერებას გისურვებთ საყვარელ ოჯახთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

ქალბატონ ნათელა გელეიშვილს!

მოვა და მოაქვს სიმშვიდე, იმედი, სინათლე და მასთან ერთად ხდები ბევრად ლამაზი, კეთილშობილი და ამაღლებული.

ის მიეკუთვნება იმ ადამიანებს, რომლებმაც შექმნეს ეპოქა, რომელთა სიმღერა სულისა და ნაღვაწი ისტორიის ლამაზ ფურცელს ქმნის და საშვილიშვილო ანდერძად გადაეცემა თაობებს. ქალბატონი, რომელიც თავისი არსებობით ავსებს ქალაქის სახეს, ათბობს, აშუქებს და დიდებულებას მატებს მას.

არაჩვეულებრივ დედას, მეუღლეს, ბებიას და დიდ ბებიას, ჩვენს დიდ მეგობარს, ნათელა გელეიშვილს, ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, ოჯახის სიძლიერეს, ბედნიერებასა და გამძლეობას!

უღრმესი მადლობა მას იმად, რომ ის არის ნათელა გელეიშვილი.

პატივისცემით მაყვალა ჩირგაძე, ქეთევან ჭელიძე, ნინო ნანიტაშვილი

დიდხანს იყოს ისეთი, როგორიც ბაჭა პაპავაა

სპირიდონ პაპავას ცოტა იცნობს სამტრედიაში. აი, ბაჭა კი ყველამ იცის. იცის უბრალო კაცი, დიდი ადამიანური ღირებულებებით, სიკეთით და სიყვარულით სავსე. იცნობენ ძალიან კულტურულს, ურთიერთობებში შეუცდომელს. შემთხვევით გავიგე იუბილარი რომ ყოფილა. შაბლონურად არ მინდოდა მიმელოცა მისთვის დაბადების დღე და გადავწყვიტე, სათქმელი საგაზეთო წერილად განმევრცო. რა საჭიროაო, მოკრძალებამ სძლია. ამიტომ იმდენს ვეღარ დავწერ, რაც ენაწყლიანი რესპონდენტის შემთხვევაში. და რადგან მასზე უკეთესად საუბრობს მისი დამოკიდებულება ადამიანებთან, მისი ყოველდღიურობა, ჩვენ ვიცნობთ ბაჭას და ვიცით, რომ არ არის გადაჭარბებული არც ერთი სიტყვა მის საქებრად ნათქვამი.

"მაჩვენე ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ" _ შეუდავებელია ხალხური სიბრძნე. ასეა ბაჭას შემთხვევაშიც, იგი იმ გუნდს მოჰყვა მაშინდელ ქალაქის გამგეობაში, არაერთი წლის შემდეგაც პატივისცემით რომ იხსენებენ სამტრედიელები.

პაპავების ოჯახის დიასახლისს იმედია მაპატიებთ ამ გვარისადმი გადაჭარბებულ სიყვარულსა და პატივისცემას. აქვე უნდა დამეთანხმოთ, რომ ბაჭას შემთხვევაში არც ერთი სიტყვა გადაჭარბებული არ გახლავთ.

მეგობრების სიმრავლეს ფორმალობისთვის თუ ვუსურვებთ, თორემ, მისნაირები მდიდრები არიან მეგობრებით, მეგობრები კი ძლიერები მასთან მეგობრობით. ისეთი კაცია, თავისი სიტყვა ყველგან რომ ეთქმისო _ მოაყოლეს მის შეფასებას. ჰოდა, იმით იმედგაცრუებულებს, რომ დღევანდელობას ნამდვილი მამაკაცები ნაკლებად ჰყავს, ჩვენი ბაჭა ღირსეულად ირგებს ამ შეფასებას!

52 წლისა გახდა ბაჭა პაპავა! რას ვუსურვებ? არც ამ შემთხვევაში მინდა ვიყო შაბლონური. რას ვუსურვებ და ... დიდხანს იყოს, და ისეთი იყოს, როგორიც ბაჭა პაპავაა! ფუძე დაელოცოს, ლხენა ემატოს, მოკეთე მოუმრავლდეს, ჯანი დედამიწასავით დაუძველდეს.

თეა ბაბუნაშვილი

ანასტასია მეფარიშვილს!

ბებოს სიხარულო, ჩემო იმედო და თვალისჩინო, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, უამრავ სიხარულს. შენი სწავლით, წარმატებებით ყოველთვის გაგეხარებინოს შენი ბებოს და მშობლების გული. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. უფალი გფარავდეს!

შენი ნათლი ბებო

ირაკლი კიკვაძეს!

7 წლის შესრულებას გილოცავთ, ჩვენო საყვარელო, ნიჭიერო ირაკლი. წელთა მატებას შენთვის ახალი წარმატებები, სიხარული და ბედნიერება მოეტანოს. ეამაყოს შენით მშობლიურ სამტრედიას, სრულიად საქართველოს!

"სამტრედიის მაცნე"

მზეშინარ ბოხუას!

ბედნიერი ვარ, რომ თქვენი სახით ერთგული მეგობარი, საყვარელი კოლეგა მყავს გვერდით, ჩემი ლხინის, ჭირის გამზიარებელი. ჩვენი მეგობრობა საბავშვო ბაღებს უკავშირდება.

თქვენ ბავშვთა აღზრდა ცხოვრების ძირითად მიზნად აქციეთ და საქართველოს მრავალი ღირსეული მამულიშვილი აღუზარდეთ, რომლებმაც შექმნეს ქართული ოჯახები და ღირსეულად ემსახურებიან ჩვენს საყვარელ სამშობლოს, საქართველოს.

ჩემო დაუღლელო, ენერგიულო და ერთგულო მეგობარო, გისურვებ ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს, საყვარელ მეუღლე ბატონ რამიზოსა და სანუკვარ შვილთან, აჩიკოსთან ერთად.

ვისურვებ, ბევრჯერ, ბევრჯერ მომელოცოს შენთვის დაბადების დღე!

პატივისცემითა და სიყვარულით ანა ძელაძე

ზოია პაპავას!

ჩვენს კოლეგას, უნიჭიერეს, პერსპექტიულ ახალგაზრდას სიყვარულით ვულოცავთ 20 წლის შესრულებას, კიდევ მეტს ველით შენგან, ჩვენო შოთიკო, ჩვენ, შენი მეგობრები, ახლობლები, ქვეყანა, რომლის ნათელი მომავალი შენებრ ნიჭიერებმა უნდა აშენოთ!

უფალი გმეგზურობდეს!

"სამტრედიის მაცნე"

მალხაზ კოხრეიძეს!

პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს და სამტრედიაზე შეყვარებულ კაცს. საუკეთესო სურვილები აგსრულებოდეთ თქვენი ოჯახის სიძლიერითა და უფლის წყალობით.

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე

გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა